# საერთო გაზეთი

№25 (664)
ოთხშაბათი
20 ივლისი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.


## საკუთარი არჩევანის მძევლები



ხომ არ შეგვეშალა? ხომ არ შევცდით არჩევანში?
ოღონდ ახლა კი არა, 30 წლის წინათ...

**რამაზ საყვარელიძე:**
## ევროპამ ჯერ არ იცის, რა გზას დაადგეს საქართველოსთან დაკავშირებით





**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**
## რატომ ჰგონია ევროკავშირს, რომ საქართველო იდიოტებით არის დასახლებული, რომლებიც შავს და თეთრს ერთმანეთისგან ვერ არჩევენ?

## რატომ დაიჭირეს „უდანაშაულო“ სოსო?









## ჯემალ დავლიანიძე: „ქვათა ღაღადი“ XXI საუკუნის საქართველოში

## რატომ ცდილობდა ჰელენ „რუბლიოვა“ ფოთის ნავსადგურში შეჭრას?!











## ცოფიანები

## „ჩვენი მთავარი მიზანი თეთრი სახლიდან სხეულის გამოტანაა“

## არ ვარ მე ის კაცი, ბატონებო და ქალბატონებო, არ ვარ მე ვახტანგ ხარჩილავა!

# საკუთარი არჩევანის მძევლები



ვახტანგ ხარჩილავა

ხომ არ შეგვეშალა? ხომ არ შევცდით არჩევანში?

ოღონდ ახლა კი არა, 30 წლის წინათ, როცა ჯერ ეროვნული მოძრაობის, შემდეგ კი დამოუკიდებლობის მიღებისთანავე ახალი, თავისუფალი, აწ უკვე სუვერენული საქართველოს მთავარ პრიორიტეტად დასავლეთი და ნატო გამოვაცხადეთ, როგორც ერთადერთი და შეუცვლელი ორიენტირი.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს დამოუკიდებლობა ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის კი არ გვჭირდებოდა, არამედ იმისთვის, რომ ეს ძვირფასი მონაპოვარი, მოპოვებისთანავე სხვისთვის გაგვენაწილებინა, რომელიც სანაცვლოდ თავისი ქოლგის ქვეს შეგვიფარებდა, დაგვიცავდა, გვიპატრონებდა, ჩვენს უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

სამწუხაროდ, არ გამართლდა ჩვენი მოლოდინი — დასავლეთის და ნატოს მიერ სულაც არ იქნა სიხარულით მიღებული ეს ჩვენი შეთავაზება.

საქართველო მარტო დარჩა მტრად გამოცხადებული რუსეთის პირისპირ.

მძიმე და საბედისწერო აღმოჩნდა რუსეთის პასუხი, რომელმაც ათიათასობით მშვიდობიანი ქართველის სიცოცხლე შეიწირა.

მარტოდმარტო იბრძოლა საქართველომ, იბრძოლა თავგანწირვით, გმირულად, მაგრამ იმდენად შეუსაბამო იყო ძალთა თანაფარდობა, იმდენად ძლიერი იყო მტერი, რომ ამ ომში საქართველოს გამარჯვების არანაირი შანსი არ ჰქონდა.

არც ნატოდან, არც დასავლეთიდან არავინ გამოგვსარჩლებია, არავინ დაგვხმარებია, არავის გამოუთქვამს თუნდაც სიტყვიერი აღშფოთება იმის გამო, როგორ ანგრევდნენ და ანადგურებდნენ ახალდამოუკიდებლობამიღებულ ქვეყანას.

მათ, ვისი იმედიც გვქონდა და დარწმუნებული ვიყავით, რომ კრიზისულ მომენტში საქართველოს გვერდით დადგებოდნენ და ფარად აგვეფარებოდნენ, საერთოდ არ გამოუხედავთ ჩვენსკენ.

ისე გამოგვყარეს აფხაზეთიდან, ისე დაამხეს კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლება, ისე მოკლეს სადღაც ტყეში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, არც ნატოს და არც დასავლეთის სახელმწიფოებს არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ.

მაშინ გაჩნდა პირველი სკეპტიკური კითხვები: რაღაც ხომ არ შეგვეშალა, რაღაც მძიმე შეცდომა ხომ არ დავუშვით არჩევანში?

კითხვები კი გაჩნდა, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო ამ შეცდომის გამოსასწორებლად.

ისე დაჟინებით მივისწრაფოდით ნატოსკენ და ევროკავშირისკენ, ისეთი სიჩქარე გვქონდა აკრეფილი, უკან ვეღარ გამოვბრუნდებოდით და ვერც განზე გადავუხვევდით.

თითქოს ჩვენი არჩევანის ტყვედ და მძევლად ვიქეცით, არჩევანი, რომელიც თავის დროზე საკუთარი ნებაყოფლობით გავაკეთეთ და რომელზეც ასევე სრული უფლება გვქონდა, უარი გვეთქვა, სავალდებულო ნორმად ვაქციეთ, რომელიც აუცილებლად უნდა შეგვესრულებინა.

რა არ მოვიმოქმედეთ, რა არ გავაკეთეთ, რომ ნატოს წევრი გავმხდარიყავით და ამით დაგვეცვა აბსოლუტურად დაუცველი საქართველოს უსაფრთხოება.

ნატოს ეგიდით ჩატარებულ ყველა მისიაში მივიღეთ მონაწილეობა, ნატოს სამშვიდობო ძალებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ქართული კონტინგენტი იყო, მაგრამ ნაირ-ნაირი დაპირებების იქით საქმე არ წასულა.

ბოლოს გვითხრეს, მაპი უნდა მოგცეთო, მაგრამ აქაც მოგვატყუეს, თუმცა დაგვაიმედეს: მართალია, მაპი ვერ მოგეცით, მაგრამ მაპზე უკეთესს გაძლევთო.

რა იყო ეს მაპზე უკეთესი, დღემდე საიდუმლოდ რჩება.

მთელ ამ ცრუ დაპირებების კასკადს რეფრენად გასდევდა ნატოს ხელმძღვანელობის ხაზგასმით ნათქვამი განცხადება: ნატოს კარები ღიაა საქართველოსთვისო.

რა მნიშვნელობა ჰქონდა, ღია იყო თუ არა ეს კარები, როცა შიგ არ გვიშვებდნენ.

ასე გრძელდება დღემდე ეს ტრაგიკომიკური ისტორია — ჩვენ ახლაც ნატოს ღია კარების წინ ვდგავართ, რომელიც ღია კი არა, ისეა დაგმანული, შიგ ჩიტიც ვერ შეფრინდება.

ამაოდ ვამტკიცებთ, რომ ჩვენ ევროპელები ვართ, რომ ევროპის დიდი ოჯახის ნაწილი ვართ და ჩვენს ოჯახში გვინდა დაბრუნება, თუმცა ევროკავშირს ეს დამაჯერებელ არგუმენტად არ მიაჩნია და ათასნაირი დავალების შესრულებას გვთხოვს, რომელთაგან ბევრი პირნათლად შევასრულეთ, თუმცა არც ეს აღმოჩნდა საკმარისი.

ბოლოს ეს ყველაფერი იმით დაგვირგვინდა, რომ ევროპარლამენტმა აშკარად უსამართლო, აშკარად დისკრიმინაციული გადაწყვეტილება მიიღო და საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზეც კი უარი უთხრა, სამაგიეროდ, იქვე გვანუგეშეს, რომ კანდიდატობას არა, მაგრამ უკეთესს, ევროპულ პერსპექტივას, გვაძლევდნენ, ხოლო კანდიდატობა თუ გვინდა, ის 12 პუნქტი უნდა შევასრულოთ, რომელიც ევროპარლამენტმა დაგვიდო წინ და გაგვაფრთხილა: ამ 12 პუნქტიდან წლის ბოლომდე უკლებლივ ყველა უნდა შესრულდესო.

მაინც, რა მოხდა ისეთი, რომ საქართველოს, რომელიც ევროკავშირში მიღებისთვის აუცილებელ თითქმის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა და წინ უსწრებდა უკრაინას და მოლდოვას, მოულოდნელად უარი უთხრეს და ხელში 12-პუნქტიანი ულტიმატუმი შეაჩეჩეს.

უარის საფუძვლად ბევრი სხვადასხვა მიზეზი დასახელდა, მაგრამ არავის უხსენებია მთავარი მიზეზი, რის გამოც ეს ყველაფერი მოხდა.

საქართველოს ხელისუფლებამ გაუგონარი „მკრეხელობა“ ჩაიდინა — კატეგორიული უარი თქვა, საქართველო ჩართულიყო ომში და აქ მეორე ფრონტი გაეხსნა.

თუმცა ეს გადაწყვეტილება არ იყო მხოლოდ ხელისუფლების გადაწყვეტილება — ის ქართველი ხალხის კატეგორიულ მოთხოვნას ეფუძნებოდა, რომ ქვეყანას ნებისმიერ ფასად შეენარჩუნებინა მშვიდობა.

ქართველი ხალხი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, საქართველოს ტერიტორიაზე ომის ქარბორბალა დატრიალდეს, რადგან ეს ქარბორბალა მთლიანად დაანგრევს ქართულ სახელმწიფოს.

ქართველ ხალხს არ სურს, იყოს საზარბაზნე ხორცი, არ სურს, იყოს უაზრო და უმიზნო მსხვერპლი.

ასე რომ, თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია აქვს, ხელისუფლების კი არა, ქართველი ხალხის მიმართ უნდა ჰქონდეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, რადიკალურმა ოპოზიციამ და სხვა დესტრუქციულმა ძალებმა ამ ისტორიაში მთავარ დამნაშავედ ბიძინა ივანიშვილი დაასახელეს.

არადა, როგორც ვთქვით, ქართველ ხალხს არ სურს ომი, თორემ მას რომ ეს ომი უნდოდეს, ვერც ბიძინა ივანიშვილი შეაკავებდა, ვერც ირაკლი ღარიბაშვილი, ვერც პარლამენტი, ვერც „ქართული ოცნების“ გუნდი.

●

ბევრისთვის მოულოდნელი იყო 12 პუნქტის შესრულება 2023 წლამდე რომ გადასწიეს.

რას ნიშნავს ეს? ნუთუ ევროპარლამენტი ისეთი ჰუმანური და ლმობიერი გახდა, რომ გადაწყვიტა, „ქართული ოცნებისთვის“ მეტი დრო მიეცა, რომ ამ 12 პუნქტზე მშვიდად ემუშავა?

სინამდვილეში, ეს არ არის „ქართული ოცნებისთვის“ მიცემული შანსი, ეს არის ოპოზიციისთვის ბოძებული შესაძლებლობა, უფრო საფუძვლიანად მოემზადოს იმ გრანდიოზული აქციებისთვის, რომელიც შემოდგომისთვის იგეგმება და რომლის მიზანია ხელისუფლების შეცვლა ნებისმიერი გზით.

როგორც ჩანს, დღის წესრიგიდან არ მოხსნილა საქართველოს ომში ჩართვის გეგმა, თუმცა ეს გეგმა რომ განხორციელდეს, ამისთვის საჭიროა „ქართული ოცნების“ შეცვლა სხვა პოლიტიკური ძალით, თუნდაც „ნაცმოძრაობით“, რომელიც უსიტყვოდ შეასრულებს ყველა მოთხოვნას და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მეორე ფრონტს გახსნის რუსეთის წინააღმდეგ.

საქართველოს, ცხადია, გარკვეული ვალდებულებები აქვს თავისი საერთაშორისო პარტნიორების წინაშე და ის ამ ვალდებულებებს არასოდეს გაქცევია, მაგრამ რატომ გვავალდებულებენ ისინი, გინდა თუ არა, ჩავერთოთ იმ ომში, რომელიც, აქედანვე ნათელია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ეროვნული კატასტროფით დამთავრდება.

ფაქტობრივად, ისინი თვითლიკვიდაციისკენ, თვითგანადგურებისკენ მოგვიწოდებენ.

კი, მაგრამ, როდის ავიღეთ ჩვენ ვალდებულება, ხარაკირი გავიკეთოთ, თვითმკვლელობით დავასრულოთ არსებობა, პარტნიორების ინტერესების საჭიროებისთვის?

ამისთვის მოვისწრაფვოდით თქვენსკენ, ამისთვის ვცდილობდით, თქვენს კალთას შევფარებოდით, ძვირფასო მეგობრებო?

რა ჰქვია ამას, როცა პატარა ქვეყანას აიძულებენ, გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც მას არ უნდა, რადგან ეს ყოფნა-არყოფნასთან არის დაკავშირებული.

●

ის, რომ საქართველო უარს ამბობს მეორე ფრონტის გახსნაზე, როგორც ვთქვით, ბიძინა ივანიშვილს ბრალდება.

აი, რატომ არის შეტანილი ევროპარლამენტის რეკომენდაციებში პუნქტი, რომელსაც დეოლიგარქიზაცია ჰქვია.

— ვერ გაიგეთ, რას ნიშნავს დეოლიგარქიზაცია? დეოლიგარქიზაცია ნიშნავს დებიძინიზაციას, დეივანიშვილიზაციას, — განვგვიმარტეს ევროპარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან. — არც მორიდებიათ, არც უხერხულობა უგრძვნიათ.

იქ, სადაც ეს ითქვა, იქ, სადაც ბიძინა ივანიშვილის მსხვერპლად შეწირვას ითხოვენ, წესით და რიგით, საქართველოს არაფერი ესაქმება, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გადავდგამთ ამ ნაბიჯს, რადგან ეს ისეთ გრიგალს გამოიწვევს, რომელიც დაანგრევს ძლივს შეკოწიწებულ ქართულ სახელმწიფოს.

ამიტომ ჩვენ მაინც ვაგრძელებთ მჭიდრო თანამშრომლობას, ვცდილობთ, შევასრულოთ ევროპარლამენტის ყველა მოთხოვნა, როგორმე შევასრულოთ ის 12 პუნქტი, როგორმე მოვიპოვოთ მათი ნდობა და კეთილგანწყობა.

ჩვენ დიდი ხნის წინათ გაკეთებული ჩვენივე არჩევანის ტყვეები ვართ, იმ არჩევანისა, რომელიც შეიძლება ბედისწერად გვექცეს.



# ევროპამ ჯერ არ იცის, რა გზას დაადგეს საქართველოსთან დაკავშირებით

## სწორედ ამით არის გამოწვეული ის ბუნდოვანი სიტუაცია, რაშიც დღეს ვიმყოფებით



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, ვის მისცა შანსი ევროკავშირმა 12 პუნქტიანი დავალების შესასრულებლად ვადის გადაწევით — ხელისუფლებას, ნაცებს თუ კიდევ რაიმე ქვემდინარებები იმალება ამ ქმედების უკან?**

— დავაკვირდეთ, რეალობას — რასთან გვაქვს საქმე. ჩემი აზრით, ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა „ქართული ოცნება“ ბევრი პარტნიორი ქვეყნისთვის არასასურველი იყოს. კელი დეგნანმა კი თქვა: ამერიკა საქართველოს, ყოველთვის, მხარს უჭერსო. ოღონდ, ეს როდი ნიშნავს, რომ იგი ჩვენი ქვეყნის ყველა ხელისუფლების მხარდამჭერია. ამერიკის მხარდაჭერით შევარდნაძის ხელისუფლებას წყალი შეუყენეს და მის ნაცვლად სააკაშვილი მოიყვანეს. 2003 წელს ხელისუფლებაში მოიყვანეს ადამიანები, რომლებიც დემოკრატიის, თავისუფლების კი არა, არამედ ყველა უბედურების სიმბოლოს წარმოადგენდნენ. მათ ციხეები უდანაშაულო ადამიანებით გაავსეს. ამ პროცესს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი შეუწყო. აშშ-ს შესაძლოა ჰქონდეს ინტერესი, რომ საქართველოში ხელისუფლება შეიცვალოს. მაგრამ დავსვათ კითხვა — დასავლეთს აქვს ახლა, კომფორტი იმაზე იფიქროს: ვინ არის, ამჟამად, საქართველოს ხელისუფლებაში?! განა, სცხელა, ამ ეტაპზე, ამისთვის?! — მეეჭვება იმიტომ, რომ დღეს, დასავლეთს უამრავი პრობლემა დაუგროვდა. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში უმაღლესი რანგის პირები თანამდებობებს ტოვებენ. ერთ-ერთი მაგალითია ბორის ჯონსონი. ეს ნიშნავს, რომ თავად, დასავლეთში იმ ტიპის კრიზისია, რომლის ბევრი ნიუანსი ბუნდოვანია. აქვე, კიდევ უფრო ბუნდოვანია რუსეთ-უკრაინის ომის პროცესი და მის მიმართ ქვეყნების სტრატეგია. ევროპულ სტრუქტურებში ყველაზე რადიკალურმა პერსონამ — ბორის ჯონსონმა, რომელიც უკრაინას უჭერდა მხარს, თანამდებობა დაკარგა. ვინ რჩება ევროპულ სტრუქტურებში? — საფრანგეთი, გერმანია, თუმცა, მასაც წყალი აქვს შეყენებული, იტალია, სადაც პრემიერი გადადგა და ა.შ. დასავლეთის მხრივ, ამერიკის ხელმძღვანელობასაც პრობლემები აქვს — ისე გაბედულად ვეღარ მოქმედებს, როგორც თავდაპირველად დაიწყო. რით არის ყოველივე საყურადღებო? — ყურადღება მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: ევროპელმა ლიდერებმა ზელენსკის სწორედ იმ პერიოდში ჩააკითხეს, როცა ჩვენ, კანდიდატის სტატუსის მონიჭებაზე უარი გვითხრეს. იქ, საუბარი იყო შემდეგზე: უკრაინა რუსეთთან გარკვეულ დათმობაზე წასულიყო. აი, სწორედ რუსეთისთვის ანგარიშის გაწევის მოთხოვნის პერიოდში გვითხრეს უარი კანდიდატობის სტატუსზე. ამიტომ, მგონია, ჩვენ უარი გვითხრეს, იმიტომ, რომ ამით რუსეთს გაუწიეს ანგარიში და აქ, 12 პუნქტის შესრულება არაფერ შუაშია. იგივე პუნქტები შესასრულებელი აქვთ იმ ქვეყნებსაც, რომელთაც ევროპამ კანდიდატის სტატუსი მისცა. ამ თვალსაზრისით, რუსეთის მიმართ დამოკიდებულება, ევროპელებზე, მეტ-ნაკლებად, მოქმედებს. ამ კუთხით, ბევრი რამ დასაზუსტებელია. საქმე ისაა, რომ ევროპამ ჯერ არ იცის როგორი პოლიტიკა აჯობებს რუსეთთან. ამიტომ, გადაწყვეტილების მიღების დროს, პრაქტიკულად, იმისთვის გადაავადა, რათა სიტუაცია გაირკვეს — რუსეთთან ურთიერთობაში რა პოლიტიკას აირჩევს ევროპა. თუ იგი რუსეთთან ურთიერთობაში მძაფრი გახდა, მაშინ ჩვენს მიმართ უფრო ლმობიერი იქნება, ხოლო თუ რუსეთთან დამთმობი გახდა, მაშინ ჩვენს მიმართ მკაცრი იქნება. ეს ყოველივე სატრანზიტო ხაზებზეც არის დამოკიდებული. მოგეხსენებათ, ემბარგოს გამო ჩინური და ინდური სატრანზიტო ხაზები კავკასიაზე გადმოვიდა. თუ რუსეთი მომძლავრდა, მაშინ იგი ამ ხაზებს დაიბრუნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ხაზები, უკვე, სამუდამოდ კავკასიაში იქნება. თუ კავკასიაში სატრანზიტო ხაზები, სამუდამოდ, დარჩა, მაშინ საქართველოს უფრო მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს. ისევე, როგორც საქართველოს უფრო მეტი ანგარიში გაეწია. დიახ, მგონი, რომ ეს თავიანთი ინტერესის გამო არის გადავადებული და არა ჩვენს გამო. კანდიდატის სტატუსი მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, უკრაინისთვისაც და მოლდოვეთისთვისაც. ვფიქრობ, ეს საკითხი რუსეთში გარკვეულ გაღიზიანებას იწვევს.

**— ანუ, 12 პუნქტი კანდიდატის სტატუსის მოსანიჭებლად არ არის მოგონილი? სულ მცირე 4-5 პუნქტი ისეთია, რომლის შესრულებაც გაჭირდება. თუნდაც, როგორ უნდა შესრულდეს ეს დავალება მაშინ, როცა აქეთ ოპოზიცია აანონსებს საყოველთაო დაუმორჩილებლობას და იქეთ, ევროპარლამენტის ტრიბუნიდან გვეუბნებიან: დეოლიგარქიზაცია დებიძინიზაციააო?**

— არ ვარ დარწმუნებული, რომ დასავლეთის ინტერესი საქართველოში იდეალური დემოკრატიის არსებობაა იმიტომ, რომ ეს ადამიანები ევროპულ სტრუქტურებში მაღალ სტატუსებს ფლობდნენ მაშინაც, როცა ჩვენთან ადამიანის უფლებები სასტიკად ირღვეოდა, ითელებოდა. მაშინ, ამ ევროპელებს საქართველოს ხელისუფლების მიმართ პრეტენზია არ წაუყენებიათ. ახლა, პრეტენზიები აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ნაცების ხელისუფლება აწყობთ. შედეგად, „ნაცმოძრაობის“ დაბრუნებისთვის იბრძვიან და არა საქართველოში დემოკრატიის გამარჯვებისა და ადამიანის უფლებების უკეთ დაცვისთვის.

**— შინაური თუ გარეული მტერი, ყველა, ომში ჩართვისკენ გვიბიძგებს. გაუგებარია, სხვის ავანტიურულ იდეებს რატომ უნდა შევეწიროთ?**

— არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც ეტაპზე, ომში ჩართვის იდეა ყველას გასჩენოდა, ვინც უკრაინას გულშემატკივრობს, მათ შორის, უკრაინის სამხედრო პირებსაც. მათი აზრით, რუსეთის მიმართ რაც მეტი ფრონტი გაიშლება, იგი უფრო წამგებიან სიტუაციაში აღმოჩნდება. უკრაინის, ასევე, დასავლეთის წრეებისთვის გაუგებარია: რატომ არ უნდა საქართველოს სამხედრო ძალით იმ ტერიტორიაზე შეჭრა, რომელიც მას რუსეთმა წაართვა. ის რომ აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთში საქართველოს ძირძველი მოქალაქეები ცხოვრობენ, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას ხელახალი კონფლიქტის გამეორება კი არა, არამედ მშვიდობიანი ენის გამოძებნა სურს, ეს არ ესმით ადამიანებს, ვინც საქართველოს ძველ და უახლეს ისტორიას არ იცნობს. ისინი თვლიან, რომ ომით დაკარგული მხოლოდ ომითვე შეიძლება დაიბრუნო. ამ გაუგებრობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ხელისუფლებას დასავლეთის წრეებთან ბოლომდე, ცხადად არ აქვს მიტანილი ქართული პოლიტიკის პრიორიტეტები და ამოცანები.

**— ოპოზიცია ხელების ფშვნეტით ელოდება: როდის დააწესებს დასავლეთი საქართველოს მიმართ სანქციებს.**

— ქვეყანას ხელისუფლების ღირსეული ალტერნატივა სჭირდება, რაც არ არსებობს. რატომ უნდათ ივანიშვილის დასანქცირება, რას აძლევთ მათ ეს სანქციები?! — სავარაუდოდ, მათ აქვთ მოლოდინი, რომ როგორც 2003 წელს შევარდნაძის წასვლით შეწყვიტა „მოქალაქეთა კავშირმა“ არსებობა, ასევე, მოხდება „ქართული ოცნების“ შემთხვევაში, თუ ივანიშვილი გაქრება. ნაცები ფიქრობენ, რომ ასე მიუახლოვდებიან ხელისუფლებას. ანუ, თუ „ქართული ოცნება“ ისე გაქრება, როგორც „მოქალაქეთა კავშირი“, ხელისუფლებას ნაცები დაიკავებენ. აი, რისთვის იღწვიან.

**— ნაცები კვლავ არეულობისთვის ემზადებიან. შეცდომა ხომ არ დავუშვით, როცა ათი წლის მანძილზე ხელისუფლებამ პოლიტიკას არ ჩამოაშორა? ახლა, უკვე, გვეუბნებიან: ხელს ვერ ახლებთ, პოლარიზაციაში ჩაგეთვლებათო.**

— ასე იყო თავიდანვე. გახსოვთ, ივანიშვილმა დაიჩივლა: — ევროპელებმა მითხრეს: „ნაცმოძრაობა“ არ დასჯილიყო და მათთან კოაბიტაცია შემომთავაზესო. ეს დასავლეთის იდეა იყო. მათი აზრით, სახელმწიფოში ერთი პოლიტიკური ძალა არ უნდა იყოს, არამედ შენარჩუნდეს ოპოზიცია, რათა სწორედ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, გარედან თამაში შეიძლებოდეს. დიახ, თამაში იმაზე, ვინც მეორე ადგილს დაიკავებს. მახსოვს, შევარდნაძის ხელისუფლების დროს, ჯერ კიდევ 90-იან წლებში ამერიკის საელჩომ დამიბარა. ლაპარაკში გაირკვა, რომ მას ძალიან ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ოპოზიციასთან. სამსახურში რომ დავბრუნდი, პრეზიდენტს ანგარიში ჩავაბარე. შევარდნაძემ მითხრა: ეგრე იქნება, აბა, შენ გგონია ამერიკას გულზე ეხატება მე რომ ხელისუფლებაში ვარო. ასეთივე იქნებოდა ამერიკული პოლიტიკა, შევარდნაძე რომ ყოფილიყო ოპოზიციაში. ანუ, ისინი ყველა მომხრე პირთან თანამშრომლობენ. ამიტომ, ცდილობენ ისეთი სურათი შეინარჩუნონ, სადაც ოპოზიციაც იარსებებს. მაგრამ აქაც, ისევ, გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ამერიკისთვის „ნაცმოძრაობა“ ოპოზიციაა, რაც ხშირად გამხდარა განხილვის საგანი. ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ ქართველი მოსახლეობა „ნაცმოძრაობას“ იწუნებს როგორც პოლიტიკურ ძალას. ეს არასწორი წარმოდგენაა. ქართველი ხალხი ნაცებს იწუნებს ძალადობის მხარდამჭერ, დანაშაულებრივ პოლიტიკურ ჯგუფს და ამიტომ არ უნდა მათი ხელისუფლებაში დაბრუნება. ამერიკა რეიგანის ფორმულით ხელმძღვანელობს, რომელიც მან, თავის დროზე, ერთ-ერთ არაბ შეიხზე თქვა: იგი ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილიაო. ეს პრინციპი — თუ ჩემია, შეიძლება, მხარი დავუჭირო, მათთან მოქმედებს. არ ფიქრდებიან, რომ ეს პრინციპი მათთვისვეა სახიფათო. იმიტომ, რომ თუ ვიღაც ყველას მიმართ ძაღლიშვილია, მერე, ის ყველა მას რომ გადმოაგდებს, ამერიკასაც ზურგს შეაქცევს. დასავლეთი ცდილობს „ნაცმოძრაობა“ დაიცვას. მისით ძალიან ბევრია უკმაყოფილო. ამის მიზეზი სხვადასხვაა, თუმცა, ხშირად, სოციალურ ქსელებში საზოგადოება სვამს ლეგიტიმურ კითხვას: რატომ იცავს დასავლეთი „ნაცმოძრაობას“ და რატომ არ სცემს პატივს ქართველი ხალხის არჩევანს. ასე თუ გაგრძელდა, პროტესტი მომწიფდება. სხვათა შორის, ამ ყველაფერს „ქართულმა ოცნებამ“ ანგარიში გაუწია და გააჩინა ადამიანების მცირე ჯგუფი, რომელიც დასავლეთის ამგვარ შეცდომებზე ლაპარაკობს. კერძოდ, როგორ უჭერს იგი მხარს ნაცებს, რატომ ერევა სასამართლოს საქმეებში და ა.შ. დასავლეთის მხრიდან ასეთი შეცდომები ტიპიურია არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბით. დასავლეთს მიაჩნია: მთავარია მან მხარი დაუჭიროს და თუ ვის — მნიშვნელოვანი აღარ არის. ეს დასავლეთისთვის, შეიძლება, ძალიან სახიფათო აღმოჩნდეს.





**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# რატომ ჰგონია ევროკავშირს, რომ საქართველო იდიოტებით არის დასახლებული, რომლებიც შავს და თეთრს ერთმანეთისგან ვერ არჩევენ?

*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი ДИМИТРИ ЛОРТКИПАНИДЗЕ:*

*დიმიტრი ლორთქიფანიძე:*

**— ბატონო დიმიტრი, ევროკავშირმა 12 პუნქტიანი საშინაო დავალების შესრულება 2023 წლის ოქტომბრამდე გადაგვივადა. რით აიხსნება ყოველივე?**

— ლოგიკური შეკითხვაა, რაზეც პასუხი, ხშირად, არაერთგვაროვანია. ჩემი სუბიექტური აზრით, ეს ევროკავშირის მხრიდან როგორც ტაქტიკური, ისე სტრატეგიული ნაბიჯია. მათ, სურთ ეფექტურად მოახდინონ იმ ოპოზიციური ძალებისა და არასამთავრობო სექტორის კონსოლიდაცია, რომელთაც უხვად აფინანსებენ, რათა აქ, თბილისური მაიდანი განახორციელონ, რაც შემდგომ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით უნდა დასრულდეს. ეს გახლავთ ევროკავშირის განზრახვა. შესაბამისად, ერთი წლით დროის გახანგრძლივება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებასთან არის



კავშირში. დეკემბრამდე რომ მოეცათ ვადა, მაშინ ულტიმატუმის აღსრულების პროცესი ვადამდელ არჩევნებში ვერანაირად ვერ გადაიზრდებოდა. ვინაიდან, ყველამ ვიხილეთ, 20 ივნისს ფრთაშესხმული ე.წ. ოპოზიცია — 15 გეი-პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაციები, მალევე, იმედგაცრუებულნი როგორ აღმოჩნდნენ. გაირკვა, რომ 20 ივნისს ხალხი გამოვიდა არა მათ მხარდასაჭერად, არამედ კანდიდატის სტატუსის არმონიჭების გამო პროტესტის გამოსახატად. ასევე, ქართველმა ხალხმა ამ პროტესტით ევროპას შეახსენა: იგი, 30 წელი იმისთვის როდი ემზადებოდა, რომ რუმინეთის უკანა ეზოდ ქცეული კორუმპირებული მოლდოვა საქართველოზე უფრო დამსახურებულად და ღირსეულად ჩაეთვალათ. რა თქმა უნდა, ეს გახლდათ ამ უსამართლობაზე ხალხის პროტესტი, აღშფოთება. საქართველო როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის, ისე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებშიც, ყოველთვის, მოწინავე რიგებში იყო. აღარაფერს ვამბობ მთელ რიგ მაჩვენებლებზე რომლის მიხედვითაც, კორუფციის დაძლევის მაჩვენებლით, საქართველო მოლდოვასა და უკრაინას შორის, ლიდერი სახელმწიფო იყო. თუ საქმე ისაა, რომ უკრაინაში ომია, ხოლო მოლდოვა საომარი პირობების ეპიცენტრია, მაშინ საქართველომ ომი, უკვე, გამოიარა. სხვათა შორის საქმე ომამდე მივიდა იმიტომ, რომ თავის დროზე, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ შეფარებაზე, ნატომ და ევროკავშირმა არ იფიქრეს, რაც მერე, ინანეს კიდეც. ასე, რომ საქართველომ უკვე მიიღო თავისი წილი ზიანი, რაც წლების მანძილზე ზურგით ზიდა როგორც ტვირთი. 20 ივნისს ხალხი, სწორედ, ამის გასაპროტესტებლად გამოვიდა. 24 ივნისს ქუჩაში ნაკლები რაოდენობა გავიდა და უკვე 3ივლისს, როცა 15 გეი-ოპოზიციურმა ძალამ თავის არასამთავრობოებიანად ულტიმატუმი წამოაყენა, რითაც ხელისუფლებას წალეკვით ემუქრებოდნენ, აღმოჩნდა, რომ ხალხი მათ აქციაზე, საერთოდ, აღარ მივიდა. ევროკავშირმა ყოველივე შეაფასა და 12 პუნქტიანი ვადის შესრულება ერთი წლით გაახანგრძლივა. ეს, აგონიური მდგომარეობაა. დიახ, ევროკავშირმა ვადა გაახანგრძლივა არა იმიტომ რომ ჰუმანურობა გამოიჩინა და ხელისუფლებას უკეთ მომზადების საშუალება მისცა, არამედ იმ იმედით, რომ ამ ერთი წლის მანძილზე ოპოზიცია კონსოლიდირდება, ცვლილებებს განახორციელებს და მატერიალურადაც მოძლიერდება იმისთვის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება შეცვალოს. ეს არის ევროკავშირის სტრატეგიის მიზანი. რაც შეეხება ტაქტიკას — მოვლენები კი არ უნდა დაჩქარდეს, არამედ დროში გაიწელოს. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის 12 პუნქტიანი გეგმა, ქართული საზოგადოების ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილისთვის აღქმულია არა როგორც კეთილგანწყობილი, სამეზობლო, სტრატეგიული რეკომენდაციების შესრულების სურვილი, არამედ ულტიმატუმი, რის შედეგადაც ხელისუფლება, ფაქტობრივად, ძალადობრივი გზით უნდა შეიცვალოს. ეს ქართველი საზოგადოების მხრიდან მოწონებული და მხარდაჭერილი ვერ იქნება.

**— 12 პუნქტიანი პაკეტის მოთხოვნებს შორის არის დეპოლარიზაცია და დეოლიგარქიზაცია. ერთ-ერთმა ევროპარლამენტარმა განგვიმარტა, რომ დეოლიგარქიზაცია, იგივე დებიძინიზაცია და დეივანიშვილიზაციააო.**

— ევროკავშირის 12 პუნქტიან პაკეტს ყველა ეჭვით უყურებს. დიახ, მოთხოვნებს შორის არის — დეპოლარიზაცია, დეოლიგარქიზაცია, რასაც ევროკავშირის ტრიბუნიდან დებიძინიზაცია, დეივანიშვილიზაცია დაარქვეს. ეს მთელი ქართული საზოგადოების შეურაცხყოფაა. ივანიშვილი არის საქართველოს ერთი კონკრეტული მოქალაქე და როგორ შეიძლება ევროპარლამენტის ტრიბუნიდან გაჟღერდეს შემდეგი: პრობლემა ამ ერთ კაცთან გვაქვს და თუ მას არ გადააგდებთ, ჩვენ, არ გენდობით და ევროპულ ოჯახშიც არ მიგიღებთო. ეს წარმოუდგენელია. დიახ, დეივანიშვილიზაცია სხვა არაფერია, თუ არა შეურაცხმყოფელი აქტი, რომელიც როგორც რეკომენდაცია, ულტიმატუმი ქართულ საზოგადოებას თავს მოახვიეს. ევროკავშირი გვეუბნება: სასამართლო ხელისუფლების მართვის სადავეები, მეტი სანდოობისთვის, ჩვენ უნდა გადმოგვცეთო. იცით, ეს რატომ სურთ? — იმიტომ, რომ სასამართლო გახლავთ სწორედ ის სახელისუფლებო შტო, რგოლი, რომლის გამოყენებითაც ევროკავშირი ძალიან სწრაფად, ეფექტურად განახორციელებს ყველა სახიფათო სოციალურ ექსპერიმენტს, მათ შორის, ისეთს რომელიც ანტიდისკრიმინაციული კანონის მოქმედებას უკავშირდება. ანუ, საზოგადოების იმ წევრთა მიმართ, რომლებიც 5, 17 მაისს და ა.შ. წლების მანძილზე არ ეგუებოდნენ იმ აღვირახსნილობას, რაც აქ, უმცირესობების უფლებების დაცვის სახელით ხდებოდა. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 12 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია ის, რომ თუ ევროპა გვინდა ლგბტ ფესტივალები, გეი-პრაიდები უნდა ჩავატაროთ. წარმოგიდგენიათ, როგორი თავზე ლაფის დასხმის აქტს გვთავაზობს ევროპა. დიახ, ევროკავშირს ჰგონია, რომ საქართველო იდიოტი ხალხით არის დასახლებული, რომელიც კეთილგანწყობილ რეკომენდაციებს და თავსმოხვეულ ავაზაკურ ულტიმატუმებს ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებს! შესაბამისად, ევროკავშირის ანალიტიკური სპეცსამსახურები მუშაობენ იმაზე, რომ გაერკვნენ: რატომ არ ხდება საქართველოში განწყობის შექმნა რევოლუციურ ფონზე. დიახ, ევროკავშირი ჯერ ვერ მივიდა დასკვნამდე: თუ როგორ იმოქმედოს, რათა სასურველი, საწადელი 15 გეი-პოლიტიკური პარტია ქვეყნის მართვის სადავეებთან მიიყვანოს. მეორე მხრივ, გეგმა დროშია გაწერილი და მას თავის ბიუჯეტი აქვს. ამიტომ, როგორც ნებისმიერი პოლიტიკური კავშირი, ევროკავშირიც იძულებულია ეს პროცესი აწარმოოს, რაც უტოპია გახლავთ და ამ ორგანიზაციას საბოლოო მიზნამდე ნამდვილად ვერ მიიყვანს. თუ ევროკავშირს ჰგონია რომ საწადელს დიდი კასკადით პროვოკაციების დაგეგმვით, ქვეყნის სისხლისღვრამდე მიყვანით მიაღწევს, ეს გამორიცხულია. ასეთი სისხლისღვრის სცენარებით დაწერილ მანიფესტაციებში, მიტინგებში საზოგადოების ჭკვიანი ნაწილი მონაწილეობს არ მიიღებს. ამ გეგმას მხოლოდ ისინი თანხმდებიან, ვისაც რევანშისტული იდეების ხორცშესხმის გზით, ხელისუფლებაში დაბრუნება სურს. ასეთი სეგმენტიც არსებობს, მაგრამ გლობალისტურმა დასავლეთმა ისიც უნდა იცოდეს, რომ მასზე დაყრდნობით ქვეყანაში ვერაფერს შეძლებენ — რევოლუცია არ მოხდება.

**— ოპოზიცია 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას ხელს შეუშლის, თუნდაც, დეპოლარიზაციის კუთხით. მაშინ რა შანსი აქვს „ქართულ ოცნებას“, რომ 2023 წელს ევროკავშირს სასურველი შედეგი აჩვენოს?**

— დეპოლარიზაცია რომელიც 12 პუნქტიდან პირველია, სხვა არაფერია თუ არა 15 გეი-პოლიტიკური პარტიის სასურველი, რომლის სათავეშიც „ნაცმოძრაობა“ დგას, „ქართული ოცნებისთვის“ ფარ-ხმალის დაყრის შეთავაზება. ეს გახლავთ პირდაპირი ულტიმატუმი, რათა ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, „ქართულმა ოცნებამ“ ნაცებს, მესამე ვადით, ხელისუფლება გადააბარონ. როგორც ჩანს, ევროკავშირი და სტრატეგიული პარტნიორი — აშშ, მეოთხე ვადით ხელისუფლების დატოვებას არ დაუშვებენ. მათი გეგმა ასეთია: გამომდინარე იქიდან, რომ ერთადერთი ალტერნატივა „ნაცმოძრაობა“ და ის 15 გეი-პოლიტიკური პარტიაა, რომელსაც კოლექტიური დასავლეთი, უკვე, დიდი ხანია აფინანსებს, მხარს უჭერს, „ქართული ოცნება“ იძულებული იქნება ხელისუფლება ნაცებს გადასცეს. დასავლეთს, უბრალოდ, იმის გაგონებაც კი არ სურს, რომ ქვეყანაში არსებობს იმის პოტენციალი, რომ ამ ჩამყაყებული პოლიტიკური სისტემის ნგრევის ხარჯზე, რეალური პოლიტიკური კონგლომერატი შეიქმნას, რომელიც ნეოლიბერალური პარადიგმისგან განსხვავებით, სახელმწიფო სუვერენული კონსერვატიული ცენტრიზმით იხელმძღვანელებს. ამის გაცნობიერება დასავლეთს არ უნდა და ხელისუფლებას ჯიქურ აწვება — 12 პუნქტიანი გეგმა განახორციელოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სანქციებით იმუქრებიან, რაშიც იგულისხმება ყველა პოლიტიკურად მაღალი თანამდებობის პირის ფინანსური დასანქცირება, თავისუფლად გადაადგილებისა და შემდგომში საერთაშორისო სამოქალაქო მდგომარეობის გამოყენების შეზღუდვა. ეს, რა თქმა უნდა, არის მუქარა, რაც მედია-ტერარიუმიდან — „ფორმულა“, „ტვ-პირველი“ და „მთავარი“, ყოველდღე გვესმის, სადაც იწვევენ ე.წ. ექსპერტებს, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს და მათი პირით კოლექტიური დასავლეთი გველაპარაკება თუ რა ტიპის სანქციებს უნდა ელოდოს ქვეყანა. ამასობაში საყურადღებოა შემდეგი გარემოება: „ქართული ოცნების“ შიგნით რღვევა დაიწყო — თანამდებობებს ტოვებენ ლიდერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, გამგებლები და ა.შ. მოტივი არის არა ღალატი, არამედ გუნდიდან გასვლის ერთადერთი მიზანი ის შესაძლებლობა გახლავთ, რათა მათ სიმართლე თქვან იმ კონიუნქტურასთან დაკავშირებით, რაც საქართველოს გარშემო საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე ხდება. ანუ, ეს კარგად გათვლილი სტრატეგიაა, რასაც „ქართული ოცნება“ მიმართავს, რათა დასავ-





ლეთს დაანახოს, რომ შეეცდება მას გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიოს, თანაც სამივე შტოს დონეზე. ამას შემთხვევით როდი ვამბობ: ის რაც რამდენიმე დღის წინ ლაშა ჩხიკვაძესთან დაკავშირებით მოხდა, განგაშის ზარების დარისხების ტოლფასია. მოსამართლე ჩხიკვაძემ ღიად განაცხადა: მას მერე, რაც მან გვარამიას მიმართ ღიად გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, მასთან შეხვედრა დეგნანის გამოგზავნილმა ერთ-ერთმა დიპლომატიური რანგის თანამშრომელმა ისურვა. შედგა მკაცრი საუბარი — თურმე, აშშ-ს ელჩი კელი დეგნანი ჩხიკვაძისგან დაჟინებით ითხოვს: ჩააბაროს მას ანგარიში თუ რა გახდა გვარამიასთვის პატიმრობის შეფარდების მიზეზი და რატომ არ იქნა გამოყენებული სხვა ალტერნატიული სასჯელი! დეგნანი მოითხოვდა იმას, რაც საქართველოს კონსტიტუციით აკრძალულია. კერძოდ ის, რომ ვინმემ, მოსამართლეს სამართალწარმოების საქმეზე ანგარიშის ჩაბარება მოსთხოვოს. კონსტიტუციის დარღვევის გზით აშშ-ს ელჩი უხეშად ჩაერია დამოუკიდებელი სახელისუფლებო შტოს მუშაობაში — უარყო საქართველოს კონსტიტუცია, ორგანული კანონმდებლობა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ პოლიტიკურ-სამართლებრივი ექსპანსია განახორციელა. ეს



ძალიან სერიოზული დარღვევაა, რაც გულისხმობს შემდეგს: ამერიკის ელჩი თავის უფლებამოსილებას ბოროტად იყენებს. ახლა, ყველაზე მნიშვნელოვანია ქართულმა სახელმწიფომ მის ქმედებას კვალიფიციური შეფასება მისცეს. ანუ, რწმუნებულების შეჩერების აქტი შეადგინოს. ეს არის აქტი, რა დროსაც სახელმწიფომ უნდობლობა უნდა გამოუცხადოს კონკრეტული ქვეყნის ელჩს რწმუნებულების ვადის მოქმედების საკითხში, რადგან ელჩის მიერ განხორციელდა უხეში დარღვევა — იგი ჩაერია ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში და სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ, აშკარა, უპატივცემულობა გამოხატა. რაც მთავარია, დაარღვია ქვეყნის ძირითადი კანონი — კონსტიტუცია. სანამ დეგნანი იმის გარკვევას დაიწყებდა თუ რატომ გამოუტანეს გვარამიას გამამტყუნებელი განაჩენი, ჯერ უნდა დაფიქრებულიყო: ჰქონდა თუ არა უფლება დეგნანს მისი წარმომადგენელი გაეგზავნა, რათა მოსამართლისგან ახსნა-განმარტება მოეთხოვა — რატომ მიიღო მან ესა თუ ის გადაწყვეტილება. ეს გაუგონარი, უპრეცედენტო ფაქტია. „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან მივმართავ საგარეო საქმეთა სამინისტროს, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მთავრობას, პრემიერ-მინისტრს: ერთობლივი კოორდინაციით, აშშ-ს ელჩის დეგნანის სრულიად აღვირახსნილი, არადიპლომატიური, არამეგობრული, დანაშაულებრივი ნაბიჯების გაშუქების საქმეზე, სწრაფი რეაგირება მოახდინონ.

**— ევროკავშირის გარდა, ამერიკაც გვიპირისპირდება, რომელსაც უნდა საქართველო ომში ჩაერთოს. რა გამოსავალს ხედავთ ამ ყველაფრიდან?**

— რა თქმა უნდა, კოლექტიური დასავლეთი როცა 8 წლის მანძილზე უკრაინას რუსეთის წინააღმდეგ ომისთვის ამზადებდა, ამავდროულად, ფიქრობდა: რუსეთის ფედერაციის მთელ პერიმეტრზე თავისი საომარი პლაცდარმები გაემყარებინა დაწყებული შუა-აზიიდან, სადაც ტაჯიკეთსა და უზბეკეთს შორის, უშუალოდ, ყაზახეთში, საომარი მდგომარეობის ინსპირირება მოახდინა. მოგეხსენებათ, ტაჯიკეთს ავღანეთის თალიბანის ხელისუფლება, უკვე, ღიად ემუქრება. იქ, ფეთქებადსაშიში მდგომარეობაა. დასავლეთს ბელორუსში არ გამოუვიდა ვითარების აწეწვა, მიუხედავად იმისა, რომ ტიხანოვსკაიას ძალით გაპრეზიდენტების მოთხოვნასთან დაკავშირებით, კრიზისი შეიქმნა. არადა, მინიმუმ 10%-იანი განსხვავება იყო, რითაც ლუკაშენკომ მოიგო კიდეც, მაგრამ ეს დასავლეთს არ აინტერესებდა. მანამდე, აზერბაიჯანის მხარდაჭერისთვის თურქეთი წაახალისეს. ნატოს წევრი, რეგიონის ჰეგემონი თურქეთი, მაქსიმალურად, ეცადა, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობა დაეძაბა, რაშიც ირანიც უნდა ჩართულიყო. მაგრამ რუსეთის ოპერატიული და სწრაფი მოქმედებების შედეგად, საომარი მდგომარეობა, ესკალაცია აღარ განვითარდა. დარჩა პატარა საქართველო, რომლით მანიპულირებას დასავლეთი უკვე დიდი ხანია მიჩვეულია. მან 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებით, ქვეყნის ხელისუფლებაში თავისი რჩეული ძალების მოყვანა ვერ შეძლო — სააკაშვილის შემოყვანის გზით, რევოლუციური სცენარის განვითარების გეგმა ჩაუვარდა. არადა, სააკაშვილი საქართველოში სწორედ ამ მიზნით ჩამოიყვანეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე 12-პუნქტიანი ულტიმატუმის ენით გველაპარაკებიან, დასანქცირებით გვემუქრებიან და ა.შ. მანამდე, კრამონმა ისიც კი იკადრა: ქართულ საზოგადოებას სტაფილო და ჯოხი უნდა ვანახოთო. ეს თაფლაკვერისა და მათრახის ინტერპრეტაციაა. მან თქვა: ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ თუ კარგად მოიქცევიან, ხელთ გვაქვს თაფლაკვერიც, ხოლო თუ მათი ქცევა არ დაგვაკმაყოფილებს, მათრახიც აქვეაო. აი, ასეთი დამოკიდებულების პირობებში გვიწევს გლობალური დასავლეთისთვის წინააღმდეგობის გაწევა, რათა ქვეყანა რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების კონტექსტში, მეორე ფრონტად არ გადაიქცეს. არადა, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა უშიშროების საბჭოს მინისტრის დანილოვის, ასევე, ზელენსკის, არისტოვიჩის და სხვათა განცხადებები. თბილისში, უშუალოდ, მეხუთე კოლონა აცხადებდა, რომ თუ საჭიროა, საქართველომ უნდა იომოსო. მადლობა ღმერთს, საქართველოს ხელისუფლებამ, ღარიბაშვილის თაოსნობით, მოახერხა არ მოეხდინა ომში წამსვლელი ადამიანების ნებაყოფლობით რეპროპრირება, არ დაუშვა ჩარტერული რეისები, ასევე, რუსეთის წინააღმდეგ ორმაგ სანქციებთან საქართველოს შეერთება. საბოლოო ჯამში, საქართველო არ აღმოჩნდა 50 არამეგობარ ქვეყნის სიაში, რაც რუსეთმა შეადგინა. მეტიც, ამას ეკონომიკურ სფეროში ისეთი ბონუსები, ბენეფიტები მოჰყვა, რომ საქართველოში, ბოლო სამ წელში, ეკონომიკა 17%-ით გაიზარდა. ასევე, სწორი საკადრო პოლიტიკის განხორციელების შედეგად, სავალუტო რეზერვების ოდენობა ქვეყნის ხაზინაში მკვეთრად გაიზარდა. ბუნებრივია, როცა ეკონომიკური სტაბილურობა და მდგრადობაა, ხალხი საკუთარი თვალით ხედავს, რომ შესაძლებელია ევროატლანტიკური სივრცის წევრები გავხდეთ, ვაწარმოოთ ჩვენი პოლიტიკა რეგიონალური მასშტაბით, ვიყოთ მყარი ხიდის შემსრულებელი გეო-პოლიტიკურ ცენტრებს შორის, სამეზობლო პოლიტიკის დალაგების გზით შევქმნათ საფუძვლები იმისა, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღვადგინოთ, მოვახდინოთ მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა და საქართველო გავხადოთ ძლიერი როგორც რეგიონის მასშტაბით, ისე მსოფლიო თანამეგობრობის თვალშიც. თურმე, შეგვიძლია ევროკავშირში დეკლარირების გარეშე, ჩვენს თავს ვუპატრონოთ, მივხედოთ და ილიას ანდერძი: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო, პრაქტიკულ, პოლიტიკურ ცხოვრებაში აღვასრულოთ. ამ ყველაფერმა მედასავლეთე პოლიტიკურ სპექტრში ისტერიკა გამოიწვია. იმიტომ, რომ ისინი ქართულ საზოგადოებაზე გავლენას ყოველდღიურად კარგავენ. შესაბამისად, დასავლეთისთვის აქტუალურნი და საჭირონიც აღარ არიან. როგორც ჩანს, დასავლეთი ცოტა ხანში შეეცდება რადიკალურად შეცვალოს თავისი დამოკიდებულება და ხედვა, თუ ვის უნდა დაუჭიროს მხარი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. თუ საქართველოში მართლაც ჩამოყალიბდა ეროვნული თანხმობის ძლიერი პოლიტიკური კონგლომერატი, რომელიც ქვეყნის ინტერესის არსებულ ყველა გამოწვევაზე მკაფიო პასუხს იქონიებს, ასევე, პირდაპირ დაწერს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, მაშინ აქ, კითხვის ნიშნები აღარავის დარჩება — არც აღმოსავლეთს, არც ჩრდილოეთს და არც დასავლეთს. აქ, უკვე, გა-



მოიკვეთება შემდეგი გარემოება — თუ სურთ საქართველოს მხარი დაუჭირონ, მაშინ მისი ეროვნული ინტერესებიც უნდა გაითვალისწინონ. შედეგად, ქართული საზოგადოებისთვის არცერთი გეი-პოლიტიკური პარტია დომინანტი და პატივსაცემი აღარ იქნება. ასეთი ძალები უმცირესობაში იქნებიან. აი, აქეთკენ უნდა იყოს ჩვენი სწრაფვა, რათა დასავლეთი ვაიძულოთ პატივი სცეს პატარა საქართველოს თავისი ცივილიზაციური არჩევანით. იმიტომ, რომ ჩვენ ვართ უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა, ჩვენს პროტო-ქართულ ენებზე ლაპარაკობენ რეგიონში ძალიან ბევრი ხალხები. ეს ქვეყანა ჩვენია და ჩვენადვე გვეყუდვნის. ვალდებულნი ვართ მომავალ თაობას ისე გადავცეთ ქვეყანა, როგორც ეს წინაპრებმა გააკეთეს. ვერანაირი დეგნანები, ფოტიგები ვერ შეძლებენ ამ გზაზე წინ გადაგვეღობონ.

**— ბატონო დიმიტრი, საქართველოზე ბრძოლით მოპოვებულ კონტროლს, რუსეთი რამდენად ჩააბარებს ლიბერალებს? რა ზომებს მიიღებს იგი და რამდენად მართებული იქნება ახლა რუსეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებების დაწყება?**

— სამეზობლო პოლიტიკის დალაგება აუცილებელია, რათა საქართველო განვითარდეს. ამ პროცესში დიპლომატიაზე უარის თქმა მომაკვდინებელი და ხარაკირი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის. რუსეთი არის სახელმწიფო, რომელიც დედამიწის, ხმელეთის ერთმეშვიდედზეა გადაჭიმული. საქართველო რეგიონალური თანამშრომლობის ფორმატს უნდა მიუჯდეს და ძირითად მოთამაშეებთან ერთად თავისი დღის წესრიგით, რაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარდაუვალ პირობას გულისხმობს, მუშაობას შეუდგეს, რაც განპირობებული უნდა იყოს რუსეთის ფედერაციასთან სრული დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის მიერ ორგანიზებული კონფერენცია — „ქართულ-რუსული დიალოგი“, რომელიც 3-10 ივლისს სუზდალ-მოსკოვში ჩატარდა, სადაც მონაწილეობას წამყვანი ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელები, პირველი პირები ღებულობდნენ. შემთხევითი არ არის, რომ მეორე ყველაზე მსხვილმა მედია-გამოცემამ „კომსომოლსკაია პრავდამ“ ჩვენს ვიზიტს ცენტრალური გვერდი მიუძღვნა. სწორედ კონფერენციის ფარგლებში გამოიკვეთა პირობა, რომ წლის ბოლომდე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დამყარდება უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, აღდგება ინტენსიური ავიამიმოსვლა, სატრანსპორტო დერეფნების დებლოკირებისა და ახალი ეკონომიკური ინიციატივებისთვის მომზადდება მოლაპარაკების მოედნები, საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებს ექნება მხარდაჭერა გარკვეული პროექტების სახით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილებია, რაც სახალხო დიპლომატიის, სამოქალაქო პლატფორმის ფარგლებში გავაკეთეთ და რამაც სახელმწიფო პოლიტიკას რეალური იმპულსი უნდა მიანიჭოს. ბუნებრივია, ქართული სახელმწიფო ველარ იქნება სირაქლემას პოზაში თავჩარგული. ხელისუფლებამ 2012 წელს ორი პირობა დადო: რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობისა და ქვეყანაში სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენა. ჩვენ, ვხედავთ, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების კუთხით, მხოლოდ, ერთი სამოქალაქო პლატფორმა მუშაობს და რეალურად, არაფერი კეთდება იმიტომ, რომ დასავლეთი ამის კატეგორიული წინააღმდეგია. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ სწორედ ამ სახალხო დიპლომატიის ფარგლებში შევძელით დაგვეძრა საკითხი ერგნეთის ბაზრობის აღდგენის მიზანშეწონილობაზე. ეს გახლდათ როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ დონეზე უმნიშვნელოვანესი პროექტი. ქართველებმა და ოსებმა, თავის დროზე, გამონახეს საერთო ენა, რაც ამ კონფლიქტის საბოლოოდ ამოწურვის წინაპირობა იყო. თუმცა, შეიტყვეს რა დასავლეთის გარკვეულმა რეაქციულმა ძალებმა, რომ ოსების დანარჩენ საქართველოსთან სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი ქართველებს საბოლოოდ მიიყვანდა რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკამდე, ამ პროექტის გაგრძელება აღარ ისურვეს და ჩვენს ხელისუფლებას ჯერ შევარდნაძეს, მერე, სააკაშვილს მოსთხოვეს ერგნეთის ბაზრობა დაეხურათ იმ მოტივით, თითქოს, ეს იყო ეკონომიკისთვის შავი ხვრელი. ათასობით ადამიანი ულუკმაპუროდ მხოლოდ იმიტომ დარჩა, რომ დასავლური მიზნები და მისწრაფებები გაემართლებინათ. ეს დანაშაული უნდა გამოვასწოროთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ამას სიკვდილი, იმას ჩამოხრჩობა, ანუ ვისი ბრალია?!







ბოლო დროს... და არა მხოლოდ ბოლო დროს, ჩვენს ფრიად პატივცემულ საზოგადოებაში ერთი ფრიად საინტერესო ტენდენცია შეინიშნება - საკმარისია, ე.წ. ოპოზიციონრებსა თუ მათთან გათანაბრებულ დეგენერატებზე რამე დავწერო ან ვთქვა, მაშინვე გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები (დაახლოებით 10-დან 7 მაინც), რომლებიც ეგრევე სვამენ შეკითხვას: მერე, ვისი ბრალია?!

ოოო... ეს ისეთი შეკითხვაა, საიდანაც პასუხიც გამოსჭვივის, თანაც მკაფიოდ და მკაცრად!

ჰო, შენ მართალი ხარ, მაგრამ ვისი ბრალია, ესენი რომ არ დაისაჯნენ და ბლატაობენ? ვისი ბრალია, ესენი ციხეში რომ არ ლპებიან?!

რა თქმა უნდა, ესენი რომ ბლატაობენ და ციხეში არ ლპებიან, არის ბიძინა ივანიშვილის ბრალი. ასევე დამნაშავეა „ქართული ოცნება“, ჩვენ არა, ამ საზოგადოების წევრები უმწიკვლონი ვართ, იოდისოდენი ბრალეულობა არ მიგვიძღვის... მეტიც, რომ არა კოჰაბიტაცია, იცით, რას ვიზამდით? მთასა და ბარს გავასწორებდით, თავხედ „ნაციონალებს“ ციხეებში ჩავყრიდით, ვისაც ვერ ჩავყრიდით, ასფალტზე გავაბრტყელებდით, ვისაც ვერ გავაბრტყელებდით, მიწაში ჩავაბეტონებდით, ვისაც ვერ ჩავაბეტონებდით, უბრალოდ ჩავმარხავდით. აი, რომ არა წყეული კოჰაბიტაცია, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ თავს მოგვახვია, ეგრე არ იქნებოდა, ჩვენ სამართლიანობას აღვადგენდით, „დაჟე“ წართმეულ ქონებასაც მისხალ-მისხალ დავაბრუნებდით!

ზოგიერთნი ისე ბობოქრობენ, ისეთ პრეტენზიებს აყენებენ, გეგონება „წყეულმა“ კოჰაბიტაციამ ვინმეს რამე აუკრძალა, ვინმეს რამე აიძულა. ბოლოს და ბოლოს, მოდით, დავაკონკრეტოთ, ეს იყო სიმბოლური აქტი, რომლის გამოცხადებითაც საზოგადოებას უთხრეს, ეს უბედურებიც (ყოფილი ხელისუფლების წევრები და მომხრეები) საქართველოს მოქალაქეები არიან, ანგარიშსწორება და სისხლისღვრა არ იყოსო. გავიხსენოთ, საკოჰაბიტაციოდ არც კანონები შეცვლილა, არც საკონსტიტუციო ცვლილებები მიუღიათ, არც რამე ხაზის დეკრეტი გამოუციათ. ვიმეორებ, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლური მოწოდება, რამაც საზოგადოების წევრთა იმ ნაწილს, რომელიც „ნაციონალებმა“ დაჩაგრეს, თავის მართლების საშუალებაც კი მისცა და უხერხული მდგომარეობიდან გამოიყვანა.

დაგჩაგრეს? დამნაშავეები ბაირამობენ? შური იძიე, კანონს რას უყურებ? დარწმუნებული ვარ, ასეთი შეკითხვებით საკუთარ თავს ბევრი ებრძოდა, მაგრამ „წყეულმა“ კოჰაბიტაციამ სულზე მოუსწრო და ასევე ბევრს ათქმევინა: რაც იყო, იყო, მაგის დედაც, ერთხელ მაინც ხომ უნდა მეღირსოს მშვიდი ცხოვრება? და, აი, მოვიდა მშვიდი ცხოვრება, მაგრამ ბევრის გულში დარჩა ხინჯი, რომელიც ნებისმიერ გამოხტომაზე ადამიანებს წამოაძახებინებს ხოლმე - მერე, ვისი ბრალია?!

პასუხი იოლია: ვისი და ბიძინა ივანიშვილის!

თანაც აუცილებლად ძახილის ნიშანი უნდა დავსვათ, ამით აუცილებლად მივანიშნებთ, რომ ძალიან გაბრაზებულები ვართ. არ მახსოვს, რომელი წელი იყო, ალბათ 2-3 წლის წინათ იქნებოდა, ერთი ფრიად კარგი ადამიანის დაბადების დღეზე შემთხვევით (არ ველოდი) გია ხუხაშვილს გადავეყარე და ვკითხე, ბიძინა ივანიშვილმა თავისი გარემოცვიდან რატომ გამოგიშვა-მეთქი? არ მითქვამს, რატომ გამოგაგდომეთქი. „ნაციონალების“ დაჭერა შევთავაზე და გაბრაზდა, შენ მოგზავნილი ხომ არა ხარო? სრულიად სამართლიანი რეაქციაა, როდესაც შენი ე.წ. მრჩეველი მოდის და უამრავი ადამიანის დაპატიმრებას გთხოვს, უნდა დაფიქრდე, მახეს ხომ არ გიგებს? ალბათ გახსოვთ, მოგვიანებით ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა და განაცხადა, ხუხაშვილი სულელურ რჩევებს მაძლევდა, თავში ტვინი არ ჰქონიაო.

2012 წელს ბიძინა ივანიშვილი გახდა პრემიერ-მინისტრი. მაშინ ბევრმა დაიკაპიწა ხელები და ზოგმა „კლეჩატ“ ფურცელზეც კი ჩამოწერა: ამას სიკვდილი, იმას ჩამოხრჩობა, ამას ფულების აზევა, იმას ქონების ჩამორთმევა!

იმ პერიოდში ჭორად ხმა გავარდა, იგივე ხუხაშვილი ვაკეში, ე.წ. „პიქსელის“ შენობაში დებანაკდა და ბიზნესმენებს იბარებსო. მე პირადად არ მინახავს, მაგრამ მაგაზე ერთი ამბავი იყო ატეხილი და მალევე ჩაწყნარდა, ანუ ჩააწყნარეს, ანუ ხუხაშვილს ყური აუწიეს. ეს ის პერიოდია, თაკო ჩარკვიანი რომ შევარდა კულტურის სამინისტროში და თავისებურად დასჭყივლა - აბა, ყველამ დაახვიეთ აქედან, ჩვენი დრო მოვიდაო! ამაზეც დიდი ამბები იყო ატეხილი, მაგრამ ესეც მალევე ჩაცხრა, ზემოდან დაურეკეს, ვინიტუ ინჩუჩუნას ტომელებივით ნუ შესცვივდით მანდა, გამოეთრიეთ სასწრაფო წესითო. მის მერე გაუავდა თაკო ჩარკვიანი ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს თორემ მანამდე მაგათ მზეს ფიცულობდა.

ამისთანა შემთხვევები ბლომად იყო, უკვე გითხარით, ბევრმა დაიკაპიწა ხელები, რათა იგივე ამბები დაეტრიალებინა, როგორიც დაატრიალეს სააკაშვილმა და მისმა ხელქვეითებმა.

დავიჭიროთო, ჩამოვახრჩოთო, წავართვათო, დავხვრიტოთო, ჩასძახოდნენ ბიძინა ივანიშვილს და თან ხელებს იფშვნეტდნენ, ეგონათ, თავიანთსას გაისწორებდნენ. კი, მაგრამ თუკი ქვეყანაში დაიწყებოდა მასობრივი დაჭერები და წართმევები, თუკი საქმე მიდგებოდა მორევაზე, ბოლოს ჭუჭყიან ხელებს ვის შეახოცავდნენ, ბოლოს ყველაფერს ვის დააბრალებდნენ? აგერ, კაცს უდანაშაულო ადამიანისთვის ბუზი არ აუფრენია, სასამართლოს გარეშე ამ ქვეყანაში არავინ დასჯილა, მოსამართლის ვერდიქტის გარეშე ციხეში არავინ წასულა, რაღას არ აბრალებენ და მავანთათვის რომ დაეჯერებინა, რას იზამდნენ? მე თქვენ გეტყვით, ამ ქვეყანაში ვინმე რამეს დაიბრალებს? არავითარ შემთხვევაში!

აქ კიდევ ჩნდება შეკითხვა: აბა, ვისი ბრალია, სახელმწიფომ ხომ უნდა უზრუნველყოს სამართლიანობის აღდგენა? რა თქმა უნდა, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა აღადგინოს სამართლიანობა და ყველა დანაშაული გამოიძიოს, მაგრამ როცა 10 წლის განმავლობაში წინა ხელისუფლება არაერთ დანაშაულს სჩადიოდა და უმეტეს შემთხვევაში კვალსაც საგულდაგულოდ შლიდა, როგორ გინდა, თითოეული დეტალი გამოიძიეთ?

ადრეც დავწერე და ვიმეორებ: ალბათ არ დაიჯერებთ - ყველაფერი ჩვენთან კი არა, გერმანიაშიც ვერ გამოიძიეს მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. როდესაც ამერიკელი გამომძიებლები ბერლინში ჩავიდნენ და საქმეს შეუდგნენ, სახტად დარჩნენ, მოწმეების პოვნა გაუჭირდათ, მოსახლეობის დიდი ნაწილი ან შეშინებული იყო, ან ადოლფ ჰიტლერს ამართლებდა, მან ბევრი კარგი საქმე გააკეთა, ავტობანები დააგო, გზები გაიყვანა და ეკონომიკა გააუმჯობესაო. აი, მიშაზე რომ იძახიან ხოლმე, სწორედ იმავეს იძახდნენ ადოლფზეც - ჰო, დააშავა, მაგრამ კარგიც ხომ გააკეთაო?

ყველაფერი რომ გადავდოთ, ბიძინა ივანიშვილი თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ვერავის დასჯიდა, ან არავის დასჯიდა, ეს უნდა გაეკეთებინა პროკურატურას და სასამართლოს. სხვათა შორის, არ არის სამართლიანი მიდგომა, როცა მავანნი გამოდიან და აცხადებენ, ამ ქვეყანაში არავინ დასჯილაო. კი, მაგრამ ხომ ვერ მეტყვით, სად იყო 6 წელი და რაღაც თვეები ვანო მერაბიშვილი? შინაგან საქმეთა ყოფილი და შემდეგ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი? ეგ კი არა, მაშინ ბევრს ეგონა, ვანოს ვერ დაიჭერდნენ, ვერ გაბედავდნენ, მოსახლეობა იხუვლებდა და ქუჩაში გამოვიდოდა. ისაო... ვანო ხალხს ძალიან უყვარს, მაგისი დაპატიმრება არ გამოვაო, პოლიციელები მაგაზე ლოცულობენ და დიდი რყევები იქნებაო. რყევები არა, შაშა და კოლა, ვანო ისე ჩაჯდა ციხეში, ხმა არ ამოუღია. ერთი გამოსვლისას გამოაცხადა, შემოდგომაზე რევოლუცია უნდა მოვახდინოო და ამაზე მთელმა საქართველომ იცინა. ახალაიებმაც აგეს პასუხი, ერთმა ციხე უკვე მოითავა, მეორე გაქცეულია, ჩამოვა და ისიც მოითავებს. სააკაშვილი ხან საკანში გორაობს, ხან კლინიკაში, ბოლოს მაინც იმას მიაღწია, რომ უფრო მეტ დროს კლინიკაში ატარებს, მაგრამ ამასაც არაუშავს, დაბრუნდება საკანში და დაიწყებს ისევ წერილების წერას თავისი ბატიფეხურით. ჰო, კიდევ ის წუპაკი, თვითმფრინავით რომ ჩამოიყვანეს უკრაინიდან, ტრაპზე ხოხიალით რომ დაეშვა და ქართულ მიწას ემთხვია, მკვლელი მეგის ქარდავა ციხის კედლებს ხეხავს და საქართველოში დემოკრატიის დეფიციტის გამოა შეშფოთებული.

ვინც აუცილებლად დასასჯელი იყო, დაისაჯა. ვაღიაროთ, დასასჯელი ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ ამ ეტაპზე მთა და ბარის გასწორება არ ხერხდება.

მერე ვისი ბრალია? ისმება ლეგენდარული შეკითხვა და ეს შეკითხვა პასუხსაც გულისხმობს - რასაკვირველია, „ქართული ოცნების“ ბრალია... მაგალითად, ირაკლი კობახიძეა დამნაშავე, ირაკლი ღარიბაშვილიც, კახა კალაძეც, ყველა დამნაშავეა, ვინც კი დღევანდელ ხელისუფლებას „მოწყალე“ თვალით უყურებს, მაგრამ ბიძინა ივანიშვილთან მაინც ვერავინ მოვა. მას უნდა დაეჭირა ათასობით, ასი ათასობით კრიმინალი, „ნაციონალი“ და არ დაიჭირა. ისე, მთავარი დუპლეტი ხომ დაიჭირა? ახლა რომ დავწერო, სააკაშვილი კლინიკაში ტყუილად კოტრიალობს-მეთქი, ეგრევე მომვარდებიან და მკითხავენ: მერე, ვისი ბრალია?!

ეჰ, მეგობრებო, ჩემი ბრალია, მე ვიღებ ყველა უსწორო საქმეს, რაც კი აქამომდე მომხდარა საქართველოში, თქვენ არაფერი დაიბრალოთ. დიახ, ხან ჩემი ბრალია, ხან ბიძინა ივანიშვილის, ხან კიდე ირაკლი ღარიბაშვილის.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# რატომ დაიჭირეს „უდანაშაულო“ სოსო?

გასულ კვირას სუსის უფროსის ყოფილი მოადგილე სოსო გოგაშვილი რომ დაიჭირეს, სოციალურ ქსელში დავწერე: ჯერ კიდევ ადრე და უარესი ეკუთვნოდა-მეთქი, ვიცი, ზოგი განაწყენდა — წაქცეულს წიხლი არ უნდა დაჭიროო, მაგრამ ასეთ წაქცეულს ზუსტად უნდა დააჭირო, რომ ველარ წამოდგეს და კიდევ უარესი არ გააკეთოს. „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსანი, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო თანამდებობას ჩამოაშორეს, განაწყენებულმა რამდენიმეჯერ ნაცტელევიზიებში განახორციელა ვიზიტი, აღსარებაც თქვა უწყინარი სახით და საზოგადოებას ხელისუფლების დანაშულებებზე ესაუბრა — აქცევს და ანგრევს „ქართული ოცნება“ ყველაფერს, არიქა, ინგა და ნოდარიკო, უშველეთ ქვეყანას და მეც აქა ვარო.

ბოლო წლებში ასეთი რამეები აღარ გვიკვირს: „ქართულ ოცნებაზე“ რატომღაც გაბრაზებული და უკმაყოფილო ყოფილი „ოცნებელები“ ნაცტელევიზიებში სხდებიან და რომის პაპზე მეტად კათოლიკობენ, ლანძღავენ და აგინებენ — ეს ამბავი კარგად გამოსდის ეკა ბესელიას, დავით ჭიჭინაძეს, არმაზ ახვლედიანს, სანდრო ბარამიძეს... საუკეთესოდ გამოუვიდა სოსო გოგაშვილსაც, ამის ნიჭი ჰქონია, მაგრამ მეგობრობა და თანაგუნდელობა კაბინეტის კართან რომ წყდება, ამას ჰქვია ღორობა.





ღორზე გამახსენდა, სუსის მაღალჩინოსნობამდე გოგაშვილი ღორის და ძროხის ხორცის დისტრიბუტორი ყოფილა.

ოფიციალური მონაცემებით, იოსებ გოგაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის მოადგილედ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაინიშნა. ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილის ინფორმაციით, მანამდე გოგაშვილის ოჯახი სოციალურად დაუცველთა ბაზაში იყო რეგისტრირებული და საარსებო შემწეობას იღებდა.

„საარსებო შემწეობას იღებდა 2011 წლის დეკემბრიდან 2013 წლის მარტამდე. ასევე მნიშვნელოვანი არის, რომ ამავე პერიოდში მათ შეემატათ ოჯახის წევრი და თუ 2011 წლის დეკემბრიდან 2012 წლის ივლისამდე ოჯახში იყო 4 წევრი და იღებდნენ 102 ლარს, ამის შემდეგ ვიდრე გაუუქმდებოდათ საარსებო შემწეობა, იყო 5 წევრი და იღებდნენ 126 ლარს“, – ამბობდა მაშინ ჭიაბერაშვილი.

გენერალურ ინსპექციაში თანამდებობაზე მუშაობისას, 2012-2014 წლებში გოგაშვილმა შრომის ანაზღაურების სახით საერთო ჯამში 81 276 ლარი აიღო.

2015 წელს, როდესაც იგი ჯერ შს მინისტრის პირველ მოადგილედ, ხოლო შემდეგ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველ მოადგილედ მუშაობდა, მისი წლიური ანაზღაურება 136 273 ლარი იყო. 2016 წელს კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მისმა წლიურმა შემოსავალმა 142 610 ლარი შეადგინა.

იოსებ გოგაშვილის მეუღლე თეა (იგივე თია) მარტყოფლიშვილი 2012 წელს არსად არ მუშაობდა. 2013 წლიდან მან საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში დაიწყო მუშაობა მთავარ სპეციალისტად, სადაც მისი წლიური ანაზღაურება 12 000 ლარი იყო.

2014 წელს იგი იმავე სახელმწიფო საწარმოს დაქვემდებარებულ სს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში“ გადაიყვანეს მთავარ სპეციალისტად, სადაც მისი ანაზღაურება 2,6-ჯერ გაიზარდა და 31 318 ლარს მიაღწია.

2015 წლიდან თეა მარტყოფლიშვილი იმავე კომპანიაში ადმინისტრაციის უფროსის მოადგილედ დააწინაურეს, მისი შრომის წლიური ანაზღაურება კი 59 280 ლარი გახდა.

კარიერულ კიბეზე სწრაფადმიმავალ სოსოს, როგორც ჩანს, თავბრუ დაეხვია და იქცე კუნძზე ჩამოჯდომა გადაწყვიტა, რა დროს მეგობრობა, თანაგუნდელობა, ქვეყნისთვის მოღვაწეობააო და გადაშალა და გადაშალა საიდუმლო დოკუმენტები და აგზავნა და აგზავნა სახელმწიფოს წინააღმდეგ დანოსები ამ მამალმა ბატმა გოგაშვილმა მელაძუა მელაძესთან, მერე კილაძესთან, ბოლოს უცხოელ დიპლომატებთან.

აი, შენ მოღალატე, გამყიდველო გოგაშვილო, უნდა მიეტყეპე დედაშენს, საკუთარი თვალის იქით რომ ვერ იყურები.

ქვეყნის „გადარჩენისთვის“ თუ აკეთებდი ყველაფერს, თუ ასე შეგტკიოდა გული, კეთილმა ადამიანებმა რომ გენდნენ და ცალ-ცალი კალოშით რომ მიგიყვანეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, იმდენი ქონება როგორ დააგროვე, კახეთი, თბილისი, ბათუმი რომ დალაშქრე და ყველგან რომ შენი კუთვნილი ბინები და აგარაკებია, აბა, ქვეყნისთვის ვიბრძვი და ვიბრძოდიო?

ფულმაც იცის გაფუჭება ჩემო სოსო და უფულობამაც და შენ რომელმა გაგაფუჭა თუ გაფუჭებული დაიბადე? მიწები რომ ცოლის დაქალებზე გქონია გაფორმებული, ქონება რომ სხვადასხვა პირებზე გადანაწილებული, მამაშენმა გოგიამ დაგიტოვა ეს სიმდიდრე? რამდენ გაჭირვებულს ლუკმა პური ენატრება და შენ რომ უმწეობის დახმარებას იღებდი, იმით ძაღლს აჭმევდი პურს თუ საქონელს? აბა, ის ფული შენი „მშვენიერი ლედის“ — ვარდისახარის თუ იისახარის — თია მარტყოფლიშვილის მანიკურებს და ჭრელა-ჭრულა მორთულობას არ ეყოფოდა.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ დიდი გემოვნების პატრონი ყოფილა თქვენი თია, პატ. სოსო, ისიც მაღალ თანამდებობებზე ნამუშევარი. მართალია, ქმარი რომ დაუჭირეს, აღელვების ნიადაგზე მთელი თავისი შინაგანი სამყარო სამზეოზე გამოიტანა და მთლად დადებითი შთაბეჭდილება ვერ დატოვა, მაგრამ არაუშავს, მაინც გადარჩენილი ხარ, ცოტა ხნით ციხეში იჯდები და თიას ნერვულ შემოტევებს პაწა ხანს აღარ მოისმენ. სხვათა შორის, მარტო არა ხარ, გითანაგრძობდნენ ფეისბუკში — ასეთი ცოლი თუ ყავდა, კიდევ დიდხანს გაუძლია და დაისვენოს, ციხე მაგისთვის სანატორიუმივით იქნებაო.

გაწიწმატებულმა თიამ ტელევიზიებს უთხრა: ყური მოვკარი, ბოდბის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა უთხრა ჩემს სოსოს: ლიკვიდაცია, ამოხოცვა უნდათ თქვენი ოჯახის ლიღუაშვილ-ღარიბაშვილ-ივანიშვილსო...



წესით, შენ არ უნდა გამოხვიდე ციხიდან მიშა სააკაშვილო, ცილისწამების მუხლი რომ გააუქმებინე და ვისაც რას უნდა, იმას რომ პრუტუნებს.

თიას ლოგიკით, მკვლელები ყოფილან ხელისუფლებაში, ხოლო ბიძინა ივანიშვილს სოსოია გოგაშვილის სული მონდომებია. ახ, სადამდე მიდის ამ ხალხის ავადმყოფური ფანტაზია, კიდევ კარგი, რომ დააკავეს ეს კაცი, თორემ უცხო ქვეყანას რომ ამარაგებდა საიდუმლო ინფორმაციებით საქართველოს შესახებ, ვინ იცის, იმ ინფორამციებში რას მიამატებდა — ბაიდენის მკვლელობას გეგმავენ ქართველებიო, ისიც არ ეთქვა ამ ოხერს და მის ცოლს, შურისგან და ბოღმისგან გასიებულებს და გონებაამღვრეულებს.

სანატორიუმივით ციხეში დასვენება კი არა, კაი ალიყური ეკუთვნის სოსიკოს სპეცრაზმელისთვის @ლეოს დაძახებისთვის. ე, ბიჯო, და, შენ არ იყავი მაგათი უფროსი? ხელქვეითებთან თუ ასე გქონდა ენა შეჩვეული, კი გეკუთვნის ვირის აბანოში გორაობა და იყავი მანდ...

ისე, რაც ვნახეთ ვიდოკადრებით, გავოცდი— არავის ქონება არ მეზარბება და არავის არაფერი, მაგრამ რაღა გოგაშვილის სახლი და რაღა როკფელერის სასახლე. ამ სასახლეში რომ დააბოტებდა, ეტყობა, თავი იმპერატორი ეგონა და ბორკილები რომ დაადეს, მაშინ გაახსენდა, რაც იყო თავად, წამოსცდა და მიაძახა კიდევაც სპეცრაზმელს.



ხომ გაგიგონიათ, შავი და თეთრი აბანოში გამოჩნდებაო და აჰა, რამდენიმე დღის წინ გავრცელებულ სატელეფონო ჩანაწერში ერთი ოპოზიციური ტელევიზიის თანამშრომლები ჭორაობისას სოსო გოგაშვილს ნოდარიკო მელაძის დაქალს უწოდებენ, ალბათ, ამბების მიტან-მოტანის ამბავში და დასძენენ, რა საზიზღარი კაცი ყოფილა გოგაშვილიო.

სოციალურ ქსელში კი წერენ: „ადამიანი ნაცებს რომ შეეკვრება, არაფერი ამართლებს და ყველაფრის ღირსიაო“.

მოღალატე არავის უყვარს, არც იმას, ვისაც უღალატებენ და არც იმას, ვისთანაც უღალატებენ. ასე რომ დარჩა სოსო და მისი პატივნაცემი ცოლ-შვილი გამოააშკარავებული თავიანთ სიხარბესა და სისაწყლეში და მათ მწუხარებას, აწი, წნორის ნიავიც ვერ გაჰფანტავს...

პირადი არაფერი, სოსო გოგაშვილო, კითხვას გისვამ, უბრალოდ: შენი ოჯახის სიცუდეს და უვარგისობას მეზობელს გააგებინებდი? ეს ხელისუფლება ამ ქვეყნის პატრონი რომაა, ხომ იცი და თუ „ოცნებაზე“ ხარ დაბოღმილი, ქვეყანას რას ერჩი, საერთაშორისო დონეზე ფაილებს რომ აწვდი და კომპრომატებს უგდებ ხელში ისევ შენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ გამოსაყენებლად, ამას რომ აკეთებდი, მოსათათბირებლად ცოლს რაიმე დაეკითხე? და რა გირჩია, თიაკომ, გავყიდოთ ჩვენი სამი შვილის, სამი ქართველის ქვეყანაო?

ეხ, სოსო, სოსო, თემურ ალასანიას ცოლსაც გახარებია შენი დაჭერა, ელისო კილაძემაც აღფრთოვანება გამოხატაო, მითხრეს, მაჩალიკაშვილიც კმაყოფილი ყოფილა, ნაცებიც გაგინებენ და ქოცებიც და რა გინდოდა, რა ვერ გასვენებდა, ყოფილიყავი იმ შენს როკფელერის სახლში და გეცხოვრა ბედნიერად. გივარდებოდა ვინმე?

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „ქვათა ღაღადი“ XXI საუკუნის საქართველოში



ჯემალ დავლიანიძე

თავიდანვე გეტყვით, რომ საუბარი გვექნება სააკაშვილის მიერ დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანაზე და ქუთაისში „დიდების მემორიალის“ აფათქებით მის მოსპობა-განადგურებაზე, რაც ერთი შეხედვით ხალხმა მიშა სააკაშვილის ბევრ ახირებათა შორის ერთ-ერთ ახირებად ჩათვალა.

ამ ვანდალიზმის მხოლოდ სიშლეგით ახსნა, მიშასი და მისი მფარველებისთვის, საუკეთესო ფარია.

აქედან გამომდინარე, „ქვათა ღაღადის“ არეალი გაფართოებულია და უკვე მოიცავს მთლიანად მამულს, ენას და სარწმუნოებას.

მეოცე საუკუნეში ჩვენმა მტერმა გარდაქმნა განიცადა.

ჩვენ მიჩვეულნი ვიყავით ხმლით, იარაღით შემოსეულ მტერს. დღეს კი ხსენებული იარაღი შეცვალა:

1. ნარკომანიამ
2. პორნოგრაფიამ
3. ე. წ. უმცირესობათა, ანუ ჰომოსექსუალთა უფლებათა დაცვამ
4. მრეწველობა-სოფლის მეურნეობის სპეციალურად მოშლამ
5. ქრონიკულმა უმუშევრობამ, გაღატაკებამ
6. განათლების სისტემის რღვევამ
7. ადათ-წესების აბუჩად აგდებამ და მრავალმა მანკიერებამ...

დღევანდელ მსოფლიოში შეინიშნება რაღაცა ბნელი ძალა, რომელიც აშკარად თუ ფარულად ცდილობს ქართველობის შეურაცხყოფას, საცინლად აგდებას, ცილისწამებას, დამცირებას და სახელის გატეხვას. თითქოსდა ქართველი ხალხი კავკასიის ძირძველი მოსახლეობა არ ყოფილიყოს. ამავე დროს მიმდინარეობს სასტიკი ზომბირება და წინასწარგანზრახვითი მუშაობა, ჩვენში დანერგონ არასრულფასოვნების კომპლექსი, რომ თვითონვე ვლანძღოთ ჩვენივე თავი და დავიბრალოთ ყოველგვარი უზნეობა, უცოდინარობა, გაუნათლებლობა — თურმე ჩვენ ვყოფილვართ არასანდო, მოღალატე, უღირსი, მშიშარა კურდღლები, შრომის არმოყვარულნი, ქურდები, ავაზაკები, მექრთამეები...

თურმე არარაობაა ქართველი კაცი, ასე იყო გუშინ, ასეა დღეს და არავითარი იმედი არაა, ჩვენგან რაიმე კეთილი საქმე გაკეთდეს.

და საამისოდ არა მხოლოდ ახლომახლო, არა მხოლოდ მეზობლებში, არამედ მთელ მსოფლიოშია გაშლილი ეს საზიზღარი „შრომა-საქმიანობა“ დემონიური სამყაროსი.

დღევანდელ ჩვენს განსახილველ საკითხს დავარქვი „ქვათა ღაღადი XXI საუკუნის საქართველოში“ და ეს მე შემთხვევით არ ჩამიდენია.

რაც ახლა მოგახსენეთ, ეს გახლავთ ილია ჭავჭავაძის გამოთქმული აზრი „ქვათა ღაღადის“ შესავალშივე, ოღონდ, ოდნავ შევუცვალე სიტყვები. ახლა კი იგივეს გავიმეორებ თვით ილია მართლის სრული ტექსტით:

„ჩვენისთანა დამრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდან აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქოს არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სულით დაბალნი ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი, ფლიდნი, პირისგამტეხნი, მხდალნი-ლაჩარნი... აი, ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი! აი, რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგამენ, რომ ქვეყნიერება დააჯერონ, ვითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესნი!“

დიდმა ილიამ ეს სიტყვები წარმოთქვა 1899 წელს და მას აქეთ 123 წელიწადია გასული.

ჩვენ კი ისევ იგივე დაუძინებელი მტერი გვყავს და გვებრძვის დაუნდობლად, როგორც დედამიწიდან ამოსაწყვეტლებს.

დღესაც გაისმის ჩვენს მშობლიურ მიწაზე მამულის ღაღადი!

დღესაც გაისმის ენის ღაღადი!

დღესაც გაისმის სარწმუნოების ღაღადი!

მაინც რა ხდება?

როდემდე უნდა ვიძახოთ — „რა გვეშველება?“

ამას, ამ კითხვას, მეგობრებო, პასუხის გაცემა სჭირდება და სადღეისოდ, ამ დიდი კითხვის ერთ მცირეოდენ ნაწილზე შევჩერდები, თუმცა, უნდა მოგახსენოთ, რომ ე. წ. „ფართო პასუხიც“ მაქვს თავის დროზე, კერძოდ, 1996-2010 წლებში დაწერილი, დოკუმენტურ წიგნში: „მწარე გაკვეთილები — ევროამერიკა, რუსეთი და საქართველო“, რომელიც 2012 წელს დაბეჭდა „საერთო გაზეთმა“, ხოლო სრული ვერსია 2014-2016 წლებში გამოქვეყნდა ლიტერატურულ ჟურნალ „ამერ-იმერში“.

რას წარმოადგენს ჩემს მიერ ზემოთ ნათქვამი მტრების „შრომა-საქმიანობა?“

როცა მიზანში ამოღებულ ქვეყანაში სურთ თავიანთი გეგმების განხორციელება, ეს მართლაც ანტისაკაცობრიო ძალები, პირველ რიგში, ცდილობენ, გადაიბირონ ადგილობრივი ხელისუფლება.

თუ ეს არ გამოსდით, აფინანსებენ ე. წ. ოპოზიციას, აწყობენ ვითომდა „სახალხო აჯანყებას“, რომელსაც შემდეგ უწოდებენ „სამოქალაქო ომს“, „მოვლენებს“, „დიქტატურის დამხობას“, განდევნიან თავიანთთვის არასასურველ მთავრობას და მოაბრძანებენ ისეთს, ვინც უკვე დანგრეულის აღდგენას იწყებს ხელებდაკაპიწებული.



იმავ დროს, აჩანაგებენ ქვეყანაში არსებულ სიმდიდრეს, ავლადიდებას, მიანგრ-მოანგრევენ სოფლის მეურნეობას, მრეწველობას, ქვეყანას ჩააბნელებენ, მოსახლეობას დაამშევენ და იწყებენ ე. წ. დახმარებას, ანუ ვალებში ჩახრჩობას.

მაშასადამე, „მტრის საქმე წინ მიდის“, როგორც ცირკში ველოსიპედზე ამხედრებულ დათუნიას უკრავენ ტაშს, დანარჩენი მსოფლიოც ტაშს უკრავს მათ დაკრულზე მოცეკვავე ამა თუ იმ უკვე სუვერენულ სახელმწიფოს.

რასაც მე ახლა მოგახსენებთ, არავის ეგონოს, უკვე დაპატიმრებულ სააკაშვილზე ბოღმას ვანთხევ.

ამაზე უარესი კრიტიკა გამოთქმული მაქვს მისი „ხელმწიფობისას“ გაზეთებშიც, ჟურნალებშიც, ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი იუსტიციის მინისტრი ბრძანდებოდა.

ამიტომაც, ერთხელ, საჯარო გამოსვლაში კიდეც წაიტრაბახა — „დავლიანიძეები ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებენო“...

ვიმეორებ, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა სააკაშვილის უბრალო ახირება არ ყოფილა.

ამ ქმედებით მან ქართველ კაცს მოთმინება მოუსინჯა, რადგან იცოდა — ამ ფაქტის ამტანს თუ გადამტანს შეიძლება უკვე უფრო მეტი გაუბედო.

გაბედა და რაღა არ გაბედა:

1. შეცვალა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.
2. შეცვალა საქართველოს სახელმწიფო გერბი.
3. შეცვალა საქართველოს სახელმწიფო დროშა.
4. ჯერ კიდევ მინისტრობისას, 2001 წელს, ძველით ახალი წლის წინა დღეებში ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა:

— პარლამენტში ახალი პროექტი შემაქვს, სადაც მოვითხოვ:

1. ეთნიკური წარმომავლობის გასაიდუმლოებას და
2. სექსუალური ორიენტაციის ძიების აკრძალვას.

რა თქმა უნდა, აშკარაა — სააკაშვილი ამ პროექტით მხარს უჭერდა ჰომოსექუალიზმს და ყოველგვარ გარყვნილებას.

2001 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ამის პასუხად ვწერდი:

„საქართველოში ჯანმრთელი ადამიანების უფლებები ჰკიდიათ ფეხებზე, არავინ იცავს — მათ შორის მიხეილ სააკაშვილიც და ხედავთ, ბატონებო, ე. წ. უმცირესობათა უფლებებს რარიგად გაუტაცნია?

სააკაშვილის და მის პატრონთა საყურადღებოდ უნდა ვთქვა, რომ:

სექსუალური პერვერზია (გარყვნილება) აღწერილი აქვს ვენელ ფსიქიატრს კრაფტ-ებინგს და შედეგია ნერვულ-ფსიქოლოგიური აშლილობისა — ფსიქოპათია, ნევროზი, ოლიგოფრენია, შიზოფრენია, ეპილეფსია, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი და სხვა.

სააკაშვილის მახინჯ, გადაგვარებულ საქციელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და ყოველივე ეს ჩამონათვალიც მხოლოდ იმიტომ დამჭირდა, კიდევ ერთხელ შევახსენო მკითხველს — რა ფსიქიკის ადამიანი, უფრო კი არსება, წყვეტდა საქართველოში ამა თუ იმ „პრობლემებს“ და სააკაშვილს რადგან „შერჩა“ დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა, მას მოაყოლა: ბაგრატის ტაძარი, ახალციხის ციხესიმაგრე, გარეჯის ტერიტორიების განკარგვა, გლდანში ეკლესიის ნგრევა, მემედ აბაშიძის ძეგლის გადატანა... იყო ღრიალი პუშკინის ძეგლის და გრიბოედოვის აკლდამის აღება-ნგრევისა...

სწორედაც, ამ პოლიტიკური ცოფით შეპყრობილების გამოა, რომ სრულიად საქართველოს, დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან, თითს უქნევენ, როგორც პატარა ბავშვს და მუქარაში აზრჩობენ.



სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ძებნილი მიხეილ სააკაშვილი ხელის გულზე ატარეს, სწორედ ამიტომაა, რომ სხვადასხვა ქვეყანათა ელჩები და ევროპარლამენტარები დღე-ღამ გვამცირებენ.

დღეს კი არის ბღავილი, რომ სააკაშვილს, რომელიც, თურმე, რამდენიმე თვეა კვდება, საქართველოში სპეციალისტების, ექიმების უმდაბლესი კვალიფიკაციის გამო ვერასგზით ვეღარ გადაარჩენენ თურმე თუ ევროპაში არ უკრეს თავი.

ჯამში — სააკაშვილმა აღასრულა რა ბნელეთის დაკვეთა — ქალაქიდან მოშორებით გადაეტანა დავით აღმაშენებლის ძეგლი, გზა გაუხსნა ლევან ბერძენიშვილებს, რომ დღეს თუ არა ხვალ: თვით დავით მეფეს წაუყენონ ბრალდება

1. ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლებისა და განსახლების გამო

2. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გამო

3. დიდგორში თურქ-სელჯუკთა ამოწყვეტის გამო

4. ყველა მეფეს, ვინც კი მაჰმადიანობა მიიღო ერის გადასარჩენად — რჯულის შეცვლის გამო

5. ვახტანგ VI-ს რუსეთში ჩასვლის გამო

6. ვახტანგ გორგასალს — ოსების ბელადის მდინარეში მოკვლის გამო

7. გიორგი ბრწყინვალეს — ქართლიდან ოსების გარეკვის გამო.

8. გიორგი სააკაძეს ტაშისკარში მტრების გაჟუჟვის გამო.

9. ყველა თერგდალეულს — რუსეთში სწავლის გამო.

10. პეტრე პირველს და პეტრე ბაგრატიონს — რუსეთში მოღვაწეობის გამო.

11. მეორე მსოფლიო ომში მებრძოლ რამდენიმე ათეულ ქართველ გენერალს — საბჭოთა კავშირის ჯარში სამსახურის გამო.

12. და ყველა ქართველ ჯარისკაცს, ვინც კი პირველ და მეორე მსოფლიო ომებში მიიღო მონაწილეობა და, რა თქმა უნდა, უპირველესად — გიორგი მაზნიაშვილს — მანჯურიაში რუსეთის მხარეზე სამსახურის გამო.

რატომ დამჭირდა სააკაშვილზე საუბარი, ძნელი მისახვედრი არ გახლავთ.

აი, ვის ებარა საქართველოს ბედ-იღბალი და ვინ იყო მთავარსარდალი, რომელსაც შიშმა ჯერ ჰალსტუხი აჭამა, მერე კი — ლაფი!

ამ პერსონას ყველაფრის უფლება მისცა მფარველმა ევრო-ამერიკამ, საკუთარმა გუნდმა და ერთხელ, სახალხოდ, ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრმა, დაიჭყივლა:

„თუ კაცი ჰომოსექსუალია და ჯარში მსახურობს, ეს მისი პრობლემააო, რამაც მსმენელთა შორის ხმაურ-ხითხითი გამოიწვია. ეს ჩემი სიტყვები 2001 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

...საქართველოში „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვულკანივით ამოიფრქვა პოლიტიკური ცოფი, რასაც დროთა განმავლობაში ზედ დაერთო ფარული შიზოფრენიის აშკარა ნიშნები.

თვალნათლივია — ყოველივე ჭეშმარიტი ქართულის, ეროვნულის წამლეკავ ლავას მთელ მსოფლიოში გამოუჩნდა ხელშემწყობნიც და ქვეყანა მუდმივი, მართვადი არეულობის პოლიგონად გადააქციეს.

ყოველივე წმინდა ქართულის დათრგუნვა დაიწყო შევარდნაძემ და „წარმატებით“ გააგრძელა სააკაშვილმა. შეეცადნენ, შეჭრილიყვნენ ქართულ ოჯახში, განეკარგათ მამული, შეებღალათ ენა და თავს დასხმოდნენ სარწმუნოებას.

ღირსება-ზნეობისგან თითქმის მთლად დაცლილმა სააკაშვილმა და მისმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ (რომელსაც იოტისოდენა ეროვნული ნიშანწყალი არ მოეძევება, თავისი „რევოლუციური მოღვაწეობისას“, როგორც ზემოთ გითხარით, ქართველ ერს გაუბედა და ჩვენი, მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, სათაყვანებელი მეფის — დავით აღმაშენებლის უნიკალური ძეგლი თბილისის შუაგულიდან ქალაქის შემოსასვლელში გადაანაცვლა.

ქართველი ერისადმი ეს ყოველმხრივ შეურაცხმყოფელი ქმედება, რა თქმა უნდა, ჩადენილი იქნა საყოველთაო ქართული აზრის და ამ მონუმენტის შემქმნელის, დიდებული მოქანდაკის, მერაბ ბერძენიშვილის ნების საწინააღმდეგოდ.

სამშობლოს გადასარჩენად, თავისუფლებისათვის გამართულ სისხლისმღვრელ ომებში ჭაბუკობიდან თავშეწირულს, დიდგორის გრანდიოზული, საბედისწერო ბრძოლის, „ძლევაი საკვირველის“ გმირს, წმინდა გიორგის მხედარს, მტერთაგან იავარქმნილი ქვეყნის ფეხზე წამომყენებელს და საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოებრიობის ჩამდუღაბებელს, ადგილი მიუჩინეს იქ, სადაც ადამიანის ახლოს მისვლაც კი წარმოუდგენელია.

ამ მართლაც შლეგური ჩანაფიქრის გასამართლებლად გაავრცელეს ბრიყვული ჭორი, თითქოსდა ამ „მოვლენით“ თბილისში ჩამომსვლელ-წამსვლელთა გულის გახარება სურდათ.

როგორც მრავალი უბედურება დაიჯერა გულუბრყვილოდ ზოგიერთმა, „ნაცმოძრაობის“ ეს მზაკვრული ნაბიჯიც „დიდ მიღწევად“ ჩთვალა, მაგრამ არავინ დაფიქრებულა — მეფეებს, მით უმეტეს, დავით აღმაშენებელს, მგზავრების, მოგზაურების, სირაჯების, სოვდაგრების დასახვედრად სათანადო მომსახურე პერსონალი ჰყავდა.

„ნაცმოძრაობას“ არ დასცალდა, თორემ... თბილისის დედაქალაქად გამომცხადებელი მეფის — ვახტანგ გორგასლის ძეგლს სოღანლუღში ან ფონიჭალაში მიავლენდნენ და მიტინგზე დაიღრიალებდნენ: საქართველოს ორ სასიქადულო მეფეს თბილისის კარიბჭე ჩავაბარეთო.

აღმაშფოთებელია, რომ სააკაშვილმა თითქმის ოთხასწლიანი მონობიდან დედაქალაქის გამომხსნელი მეფე თბილისის გულს მოსწყვიტა.

სავალალოა, რომ მავანი მიხეილ სააკაშვილს საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას ადარებს (ღმერთო, შემინდე ამ სიტყვების გამეორებისათვის!)

სამწუხაროა, რომ დღეს სმენის დამაყრუებელი, მკივანა „ქართული დემოკრატია“, „საზოგადოებრივი აზრი“, „სამოქალაქო აქტივისტები“, აურაცხელი არასამთავრობო ორგანიზაცია, სახალხო დამცველი და მრავალზე მრავალი საეჭვო დაწესებულება ჩვენს კავკასიელობას ალმაცერად უცქერს და მხოლოდ ევროპელობით იწონებს თავს.

საგოდებელია, რომ საქართველოში უცხოეთიდან მოწოდებული ინსტრუქციებით გაშმაგებით იცავენ ლგბტ-თა უფლებებს და არ ანაღვლებთ არც ქართველი უმრავლესობის, არც სამშობლოსთვის თავდადებულთა და შეწირულთა უფლებები.

საქართველოში არსებობს პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“, რომელიც დღემდე კრინტს არ ძრავს და არ ანაღვლებს, სად იქნება დავით აღმაშენებლის ძეგლი.

როგორც ჩანს, სულ მალე ამგვარი ვნებებით შეპყრობილები დავით აღმაშენებელს დიდგორში მტრის მუსვრას არაადამიანურ მოპყრობად ჩაუთვლიან და ადამიანის საყოველთაო უფლებათა დეკლარაციის დარღვევაში დასდებენ ბრალს.

ფაქტია, ამ ამორფულ, მაგრამ მართვად მასას, თავიანთი ხელმძღვანელობის თამადობით, ჩვენი ქვეყანა წინასწარი განზრახვით, სპეცდაკვეთით მიჰყავთ ვნებათა სასაკლაოსკენ, რათა დაასამარონ ყოველივე ეროვნულ-ქრისტიანული.

ახლა ვნახოთ სააკაშვილის მიერ ქუთაისში მდებარე „დიდების მემორიალის“ განადგურება:

2009 წლის დეკემბერში, ქალაქ ქუთაისში, სააკაშვილის უშუალო განკარგულებით ააფეთქეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულებისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ანსამბლი, რომლის ავტორი ასევე გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი გახლდათ.

ხელოვნების ამ შესანიშნავი შედევრის გასანადგურებლად სააკაშვილმა და მისმა ურდომ მოსამზადებელი სამუშაოები წინასწარვე ჩაატარეს. თვით ბატონმა მერაბ ბერძენიშვილმა ამცნო საზოგადოებას წინასწარვე, რომ: „ჭიაღუა ნაცები“ თითქმის მუდამდღე ძარცვავენ, ბილწავენ ძეგლსო.

ბოლოს კი, როგორც ცნობილია, ყოველივე ქართულის მოძიძღარმა ნაცებმა ნაღმებით ააფეთქეს და ორი უდანაშაულო ადამიანის, დედ-შვილის სიცოცხლე შეიწირეს.

წესით და რიგით, მთელ „დემოკრატიულ მსოფლიოს“, რომელიც დღე-ღამ ადამიანის უფლებებზე „მოთქვამს“, ბარბაროსად უნდა შეერაცხა სააკაშვილი და მისი პარტ-ბანდა, მაგრამ... კრინტიც არავის დაუძრავს. სააკაშვილის პატრონებს, როცა სჭირდებათ, ჭიანჭველის გასრესვასაც არავის ჰპატიობენ, მაგრამ საქართველოში მომხდარი ეს დანაშაული დიდსულოვნად „აპატიეს“ თავიანთ მიერ პრეზიდენტად (ჩვენთვის კი უბედურებად) მოვლენილ ჭკუანაღრძობ პირს.



ამ დღეებში კიდევ ერთხელ მოვინახულე დიღმის მასივში მდგარი „დავით აღმაშენებელი“, მაგრამ ახლოს, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერც კი მივეკარე. ვისაც არ ახსოვს კარგად, შეგახსენებთ: ქანდაკების ორივე მხარეს ავტომაგისტრალია, ავტომობილების ინტენსიური მოძრაობაა და თუ სცადე ამ „რიგის გარღვევა“, თითოეული მძღოლი აუცილებლად იფიქრებს — ვიღაც იდიოტი ანდა თავზეხელაღებულიაო.

ასევე შეუძლებელია, იქ მივიდეს ტურისტი, ანდა ადამიანი, ვისაც ესურვილება, დიდ მეფეს, სრულიად საქართველოსთან ყოველმხრივ ვალმოხდილს, ერთი-ორი მინდვრის ყვავილი მიართვას.

ვერც ახლადდაქორწინებულები მივლენ ახლოს და ვერც რომელიმე უცხო ქვეყნის საპატიო სტუმარი.

ჰოდა, რაიმე ახირება კი არა, სწორედ ამიტომ „გამოასახლა“ სააკაშვილმა დიდი მეფე თბილისის ერთ-ერთი თვალწარმტაცი ადგილიდან, რომ მიუკარებელი იყოს.

და, რაოდენი ცინიზმია, როცა მაგონდება გელათში დავითის საფლავთან ყალბად მოფიცარი სახ.მეთაური, რომელმაც ფიც-ვერცხლის მაგიერ გორთან, მიწაზე ლაჩრულად გაწოლილმა, ლაფი მიირთვა.

ბატონმა მერაბ ბერძენიშვილმა დავით აღმაშენებლის სკულპტურაში სრულიად საქართველოს მოსახლეობის უდიდესი სიყვარული ჩააქსოვა, რისი შებღალვის წადილი გახლდათ ძეგლის არამცთუ გადატანა, არამედ ხელის შეხება და ადგილიდან დაძვრა.

**მჯერა, რომ ვახმოვანებ ყველა ჭეშმარიტი ქართველის სურვილს, აზრს, თხოვნას — დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე ძეგლი დაუბრუნდეს დედა-თბილისის გულს და მისი ასლი დაიდგას დიდგორში, სადაც ხერხემალი გადაემსხვრა თურქ-სელჯუკთა უზარმაზარ კოალიციას.**

ასევე, ქალაქ ქუთაისში აღდგეს მსოფლიო მნიშვნელობის, მშვიდობისადმი და ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი „დიდების მემორიალი“.

დაბოლოს,

რატომაა ჩვენი ჩვეყნის ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სააკაშვილისა და მის მფარველთა თუ მომხრე ე. წ. ოპოზიციის სალანძღავი?

აქ არც მხოლოდ სანქციებია, არც „რუსეთისკენ სწრაფვა“, რაშიც მას ბრალს სდებენ, არც სასამართლო რეფორმის ჩაუტარებლობა.

აქ, მეგობრებო, უმთავრესი მისი „უარყოფითი“ მხარეა ის, რომ ერთხელ ხმამაღლა განაცხადა: „ქორწინება კაცის და ქალის ურთიერთობააო“.

აი, სწორედ ამის გამოა იგი დღეს სამიზნედ ამოღებული და მე ვფიქრობ, მას არასოდეს არ აპატიებენ ე. წ. ლგბტ თემის საწინააღმდეგოდ აზრის გამოთქმას.

რატომ?

ამისი მიზეზი დღევანდელი საზარელი მდგომარეობაა, რაც მთელ მსოფლიოს უკურნებელ სენად აქვს მოდებული, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა და საამისოდ ცალკე საუბარია საჭირო.

P.შ. მივმართავ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას:

თუ გადაწყვეტთ და დიდ დავითს დააბრუნებთ ძველ ადგილზე, თუ გააკეთებთ ასლს და დადგამთ დიდგორში, ეს გადაწყვეტილება აუცილებლად გადაიქცევა საერთო-სახალხო ქართულ დღესასწაულად, რაც შინაური თუ გარეული მტრებისადმი გულში ჩაცემული ქართული მახვილი იქნება!

# ცოფიანები


კუბილიუსი


იუკნევიჩიანე


გალერი

მიყრუებული სოფლის ბოლოს ღამე მშიერი ძაღლები რომ აწკავწკავდებიან ხოლმე, ისე აწკავწკავდა გასულ ოთხშაბათს ევროპარლამენტში რამდენიმე დეპუტატი.

აწკავწკავებაც არის და აწკავწკავებაც, პირდაპირ ცოფებსა ჰყრიდნენ პირიდან, ტუჩები ებრიცებოდათ და ყურებიდან კიდე ბოლი გამოსდიოდათ.

რასა იუკნევიჩიანე! გალერი! მარკეტა!

რასაც ეს პოსტსაბჭოთა ტიპები კადრულობენ და როგორც ეს კორუმპირებული ჩირები იქცევიან (უნახავმა რა ნახაო!), მსგავსი არაფერი გვინახავს არც საბჭოთა პერიოდში და არც შემდეგ, ანუ 1990-იანებიდან აქამომდე!

ეს რა ჯანდაბა და დოზანაა?!

აი, ქალი როა, მის გვარს ძლივს


გრიგოროვა

რომ წარმოსთქვამ (იუკნევ... იუკნევიჩ... იუკნევიჩუჩუნ... თუ როგორც არი!), აცხადებს, თუ „ქართულ ოცნებაში“ ვერ ხვდებიან, ოლიგარქი ვინ არის, მაგის გარკვევაში მე დავეხმარებიო... ეს დეივანიშვილიზაციააო, ეს დებიძინიზაციააო, ქალი გაგიჟდა, გადაირია, კლიმაქსმა ხელი დარია, როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, სახე აუყარყარდა. ბიძინა ივანიშვილის ხსენებაზე ქალი ჭკუიდან გადასულიყოს, პირველად ვნახე და გამიკვირდა. გადაუგდეთ ამ ქალს სამიოდე ათასი ევრო და ეგრევე მოკეტავს, დარწმუნებული ვარ!

ტონი აქვთ, იმის დედა ვატირე, კრემლიდან არ მიგვიღია ამნაირი დირექტივები, მითითებები და დავალებები!

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, პოზიციაა თუ ოპოზიცია, დაბოლილი მარკეტა ყველას თითს უქნევს - თქვენაო, არაფერი შეგეშალოთო, ჩვენი დავალებები ხელისუფლებამაც უნდა შეასრულოს, ოპოზიციამაც და სამოქალაქო საზოგადოებამაცო!

აქამდე გვეუბნებოდნენ, მორიგ რეზოლუციას დეკემბერში გამოვაცხობთო. ახლა თქვეს, დროში ვერ შეგზღუდავთ, 2023 წელს გამოვაცხობთო.

ეს კარგია, ე.წ. ოპოზიცია მორიგ რევოლუციას დეკემბერში აპირებდა, როგორც ჩანს, ეგეც გადაიდება. ისე, ძალზედ საინტერესოა, რატომ გადადეს ეს საქმე დეკემბრიდან 2023 წლისთვის, მართლა ჩვენი დარდი აქვთ, რომ დროში შეზღუდულები არ ვიყოთ თუ ახალ ხაფანგს გვიმზადებენ? კი, როგორც უკვე ვთქვი, ერთი დადებითი ის არის, რომ ე.წ. რევოლუცია გადაგვიდეს, მაგრამ ისიც საფიქრალია, რა იქნება 2023 წელს? ალბათ ისევ ის, რაც არის ახლა, მაქარაშვილ-ლომჯარია-გიგაურებით ვერაფერი გააწყეს და ალბათ ახალი კანდიდატების ძიებას დაიწყებენ. თუმცა, რა გითხრათ, კიდევ ვინ უნდა მოძებნონ ქვეყნისა და სახელმწიფოს ასარევად, ვინ დარჩა? ე.წ. პოლიტიკოსები ჩაფლავდნენ, ე.წ. ჟურნალისტები ჩაფლავდნენ, ე.წ. არასამთავრობოები ჩაფლავდნენ, ე.წ. სახალხო დამცველი ჩაფლავდა, თუ ვინმეს გამოძებნიან ისინიც ჩაფლავდებიან და იცით, რატომ? და იცით, ამათი უბედურების არსი რაში მდგომარეობს? ისინი, ე.წ. ევროპელი დეპუტატები და ესენი, ეს ჩვენებური დეპუტატები თუ არასამთავრობოები ერთი ჭკუისანი არიან, ერთ დუდუკზე უკრავენ და ამიტომაც არა გამოსდით არაფერი. აბა, მაქარაშვილებისგან, კუბილიუსებისგან, დილმელაშვილებისგან, მარკეტებისგან და იუკნევიჩიანებისგან რა უნდა გამოვიდეს? არც არაფერი!

ვიმეორებ, რასაც ესენი (მარკეტა, გალერი და იუკნევიჩ...) სჩადიან, ეგეთები არ უქნიათ ცეკა კაპეესესის ინსტრუქტორებსაც კი, აღარაფერს ვამბობ რაიკომების მდივნებსა და მათ მოადგილეებზე!

მგონი საბჭოთა კავშირი ამ კავშირთან შედარებით ფაქიზ გრძნობათა ორგანიზაცია იყო!

ფუჰ!!!

ეხლა მე ვარ რუსეთუმე თუ ესენი?!

რა თქმა უნდა, ესენი!

საქმეს აფუჭებენ საქართველოში, ხალხს ევროპასაც აზიზღებენ და ამერიკასაც, ნუთუ ეს არის დასავლეთიო? მეტი არაფერიო? ფიქრობენ ჩვენში და საზოგადოების დიდმა ნაწილმა ხელიც ჩაიქნია. იმ ქალმა, რომლის გვარსაც ბევრი ვერ გამოთქვამს, იუკნევიჩიანემ ივნისის დასაწყისში ირაკლი კობახიძე ვლადიმერ პუტინს შეადარა, ეგენი ერთნაირად ფიქრობენო. რას ფიქრობენ ერთნაირად კობახიძე და პუტინი? „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ევროპის სახალხო პარტიას კრიმინალების დაჯგუფება უწოდა და სრულიად სამართლიანადაც. ამ წუპაკების პარტიას მიხუინების მმართველობის პერიოდში საქართველოდან ლობიზმის მომიზეზებით კაი ფული მიჰქონდა, ეგ საქმე გიგა ბოკერიას ებარა. 2012 წლის შემოდგომიდან „დარმავოი“ დაფინანსება შეუწყდათ და დაიწყეს კიდევაც მას შემდეგ წკავწკავი, მიყრუებული სოფლის ბოლოს მშიერმა ძაღლებმა რომ იციან ხოლმე.

ჩვენს შინაურ საქმეებში ერევიან, თავებს ველარ იკავებენ, წარმოგიდგენიათ, ამ ავმა დედაკაცმა რა იკადრა? დებიძინიზაცია და დეივანიშვილიზაციაო, ბოლო-ბოლო, გათქმევინებენ ისეთ რამეს, რისი თქმაც არ გინდა... ვინ ჩემი ფეხებია, რა უფლებით ლაპარაკობს სხვა ქვეყანაზე ასეთი ტონით? ვისაც არ ეზარება, ვისაც თავის ქალა შიგნიდან ეფხანება, ყველა ჩვენ გვედიდკაცება და გვედიდქალება!

ევროპარლამენტარი მაიკლ გალერი აცხადებს - ვითარება, რაც დღეს საქართველოშია, არ არის დამახასიათებელი ნორმალური დემოკრატიული ქვეყნისთვის, სწორედ ამიტომ დატოვა წინა პრემიერმა თანამდებობა. გაიგონეთ? თურმე გიორგი გახარია იმიტომ გადადგა, რომ საქართველოში არ არის დემოკრატია, თურმე ასეთი რამ არ არის დამახასიათებელი ნორმალური დემოკრატიული ქვეყნისთვის. თურმე დემოკრატია დუღს და გადმოდუღს უკრაინაში, მოლდოვაში, სხვა ქვეყნებშიც, ოღონდ საქართველოში არა. განა ჩვენ ვერ ვხედავთ და არ ვიცით, რატომ გადადგა წინა პრემიერი? რასაკვირველია, მშვენივრად ვიცით, მაგრამ რაკი ვინმე გერმანელი გალერი ასე ამბობს, ესე იგი, ასეა. უფრო გლეხურად აგიხსნათ? ჩვენ კი ვიცით, რომ „ისტეა“, მაგრამ რაკი მაიკლი ამბობს, გამოდის, „ისტეა“, პოლიტიკას ამნაირად სჭირდება. განა საბჭოთა პერიოდშიც არ შთაგვაგონებდნენ, რომ „ისტე“ კი იყო, მაგრამ „ასტე“ იყო?!

მარკეტა გრეგოროვა - ოოო... ეს ქალი ევროპარლამენტში კი ზის და ჭკუაზეც გვარიგებს, მაგრამ ძაან უქიშინებს, პაპიროზის გარდა თრიაქსაც ხმარობს. როცა მაგრად გაბრუვდება ხოლმე, ტუალეტში იკეტება და გულს ირევს. თქვენ თავს გეფიცებით, არავერს ვიგონებ, მაგ თემაზე ვიდეორგოლიც კი დაამზადებინა და სოციალურ ქსელებში გაავრცელა, გეგონება დიდად საამაყო რამეს სჩადიოდეს.

არა, მაგათი გაგებით კი არის დიდად საამაყო, კი მიაჩნიათ ევროპულ ფასეულობად, მაგრამ ჩვენში ეგ „აქტი“ ავადმყოფობად ითვლება.

სხვათა შორის, ამჯერად ანდრიუს კუბილიუსს ხმა არ ამოუღია, ალბათ ისვენებს, თორემ მომენტს არ გაუშვებდა ხელიდან, გაუკეწლავებს არ დაგვტოვებდა. ესენი ყველანი ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები არიან. ეგ პარტია ისეა ევროპული, როგორც მე ვარ ჩინეთის იმპერატორის პირველი სიძე. ეგრე თუა, გიგა ბოკერიამაც დაირქვა „ევროპული საქართველო“, გჯერათ? არც მე, სად ბოკერია, სად ევროპა და სად ანტარქტიდა? არიან ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც არც ერთ კონტინენტს არ მიესადაგებიან, უბრალოდ დედამიწას ლახავენ და ეგ არი. აი, ასეთთა კლასობრივ ოჯახს განეკუთვნებიან ბოკერია, კუბილიუსი, იუკნევ... ჩუტრუკიანე, გრეგოროვა, გალერი, ვალერი, გუბაზი და აქუ. ამ კლასობრივ ოჯახში სხვებიც შედიან, მაგრამ ჩამოთვლა მეზარება, თქვენ ჩემზე უკეთესად იცით.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო... წაესივნენ ძაღლები ბიძინა ივანიშვილს, უნდა „დავასანქციროთო“, საქართველოში დემოკრატიულ წყობილებას ხელს უშლისო. კუბილიუსს აქვს ნათქვამი, ჩვენ ამ შემთხვევაში ქართველ ხალხზე ვზრუნავთო. გაიგონეთ? კუბილიუსი და მარკეტა ზრუნავენ ქართველ ხალხზე, ბიძინა ივანიშვილი არ ზრუნავს, პირიქით, ის საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ წყობილებას, არა და არ ხსნის მეორე ფრონტს. ეგ თუ პატიოსანი კაცია, რუსეთს ომს რატომ არ უცხადებს? რა, მხოლოდ უკრაინა უნდა ომობდეს რუსეთის წინააღმდეგ? რა, არ უნდა შეეხიდოს უკრაინელებს? ეს რა პარტნიორობა, ეს რა სტრატეგიული ურთიერთობაა? ეს რანაირი მეგობრობაა? ისე, რა მაგის პასუხია და... წამდაუწუმ რომ იძახიან, უკრაინა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიაო, ეგ თემა საიდან გამომდინარეობს, რანაირი სტრატეგიული პარტნიორია? 2008 წლის ომის დროს ჟანგიანი იარაღი რომ შემოგვასყიდა ორმაგ ფასში და კეზერაშვილმა ჩამოწერა მილიარდებად, ეგ არი პარტნიორობა?! არ ვიცი, არ ვიცი!

თუმცა... ამ საკითხს შეიძლება სხვა კუთხიდანაც შევხედოთ, ამ დღეებში მეზობელი დაბრუნდა ბათუმიდან, სულ აუ, აუ, აუ-ს იძახდა, უკრაინელი ქალებით სავსეა აჭარა, გედვირიე პირდაპირო.

ეგენი ეომებიან რუსეთს-მეთქი?!

მაიცა, რაააა, რუსებთანაც ძაან მაგრად არიან ჩახუტებულიო. ჰოდა, ჩვენ აქეთ გვამუნათებენ, მეორე ფრონტს არ ხსნითო. მაგათ შავ ზღვაში უნდა იჭყუმპალაონ, ბიძინა ივანიშვილმა კიდევ რუსეთს წაგებული ომი გამოუცხადოს. არ გამოუცხადებს და „დაასანქცირებენ“ (ამასობაში ქართული ენა ისევ წაბილწეს - უნდა დავასანქციროთო). რაკი ქართული ენა ვახსენე, ბარემ ერთსაც გეტყვით, ამ დღეებში „ნაციონალებმა“ მორიგი ახალი სიტყვა გამოიგონეს - „მომენტუმი“. ამიერიდან „მომენტის“ ნაცვლად უნდა ვთქვათ „მომენტუმი“. მართალია, ეს ფორმა იტალიურ-ესპანურ-ბერძნულს უფრო წააგავს, მაგრამ სამაგიეროდ, ამის ეგრე მთქმელი საზოგადოებაში ძაან განათლებულად წარმოჩინდება და ხალხიც ტაშს დაუკრავს. თუ ხალხი ტაშს დაუკრავს, მომავალ არჩევნებში საპარლამენტო სიაშიც ჩაწერენ და რაკი ჩაწერენ, შეიძლება აირჩიონ კიდევაც. აგერ, მაჭუტაძემ სიტყვა „რეზონი“ იხმარა ღია საზოგადოებაში და ეგრევე სიაში ჩაწერეს, განათლებული ბიჭი ჩანსო. ჩაწერეს და აირჩიეს კიდევაც. დღეს ის პარლამენტში ზის 7 თუ 8-ათასიან ხელფასზე. ეგეთები გამოეთრევიან ხოლმე ტელევიზორში და ამტკიცებენ, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, საქართველოში დემოკრატია გვექნებოდაო. სადაც სამართალია, მაჭუტაძეები სანთელს უნდა უნთებდნენ ივანიშვილს, ეგენი რომ პარლამენტში სხედან, სწორედ მის მიერ მოტანილი დემოკრატიის დამსახურებაა. ისინი (ევროპარლამენტარები) სოფლის ბოლოს მოწკავწკავე ძაღლები არიან, ესენი - სოფლის შიგნით მოწკავწკავე ძაღლები. იქაც და აქაც ცოფი მძვინვარებს, იქაც და აქაც პირთაგან დუჟი გადმოსდით.

ჩემი ღრმა რწმენით, ბიძინა ივანიშვილს და შესაბამისად, საქართველოს ფეხებსაც ვერ მოსჭამენ. ადრე სხვანაირად ვიტყოდი, უფრო ეთიკურად, საქართველოს ვერაფერს დააკლებენ-მეთქი, მაგრამ ახლა არ შემიძლია - მე ამდენი შინაური და გარეული მტერი, ამდენი შინაური და გარეული მოღალატე ერთდროულად არ მინახავს, ალბათ ამდენნი 1937-1938-იან წლებშიც არ იყვნენ. არა, ნამდვილად არ იქნებოდნენ. კიდევ კარგი, ამათ ჩვენი დახვრეტა არ შეუძლიათ, თორემ აქამდე ჩვენი ბუნდღა აღარ იქნებოდა, უბრალოდ გაგვიმართლა, რომ იმ პერიოდში არ დავიბადეთ, თორემ მაჭუტაძე თუ ვერა, კუბილიუსი მაინც მიგვაყენებდა კედელთან.

ესენი ალბათ კაი ხანს არ გაჩერდებიან, დანარჩენზე მომდევნო ნომრებში მოგახსენებთ. მადლობა ყურადღებისთვის.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# „ჩვენი მთავარი მიზანი თეთრი სახლიდან სხეულის გამოტანაა“



მსოფლიო პოლიტიკოსების (და არა მარტო მათი) ყურადღება გასულ კვირას ახლო აღმოსავლეთისკენ იყო მიპყრობილი. რეგიონში თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი. ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერია, ქვეყნების მეთაურები ბევრს მოგზაურობენ, ხვდებიან თავიანთ კოლეგებს. ბაიდენის განვლილი ვიზიტი რამდენიმე მიზეზით განსაკუთრებულად საყურადღებო გახლდათ. პოლიტოლოგებმა ყურადღება გაამახვილეს პრეზიდენტის მარშრუტზე — თავდაპირველად ბაიდენი ისრაელში უნდა ჩასულიყო და იქიდან საუდის არაბეთში გამგზავრებულიყო. ექსპერტების შეფასებით, ვიზიტის დაწყებისთანავე ბაიდენმა პოლიტიკური შეცდომა დაუშვა.



განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ჯო ბაიდენის საუდის არაბეთში ჩასვლის გადაწყვეტილება. აშშ-ში ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდის შემდეგ, ჯერ კიდევ გაზაფხულზე, ჯო ბაიდენი ცდილობდა, ტელეფონით დაკავშირებოდა საუდის არაბეთის ხელისუფლებას, რათა მათ გაეზარდათ ნავთობის მოპოვება და აშშ-ისთვის მიწოდება. მაგრამ მისი ზარები უყურადღებოდ დატოვეს, არ უპასუხიათ. აშშ-ის ხელისუფლებაზე, განსაკუთრებით ჯო ბაიდენზე, არაბები უკვე სამი წელია, რბილად რომ ვთქვათ, განაწყენებულები არიან. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დაძაბვის მიზეზი თურქეთში, სტამბოლის საუდის არაბეთის საკონსულოში არაბი ჟურნალისტის ჯამალ ხაშოგის მკვლელობა გახდა. ჟურნალისტი აშშ-ის გამოცემებთან თანამშრომლობდა. მკვლელობის შემკვეთად საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე მუჰამედ ბენ სალმანი დაასახელეს. ჯო ბაიდენმა პრინცი საჯაროდ გალანძღა. „მტარვალი, რომელსაც ხელები სისხლში აქვს გასვრილი“.

სტუმარს თელ-ავივში, ბენგურიონის აეროპორტში ისრაელის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი დახვდნენ. ტრაპიდან ჩასვლისთანავე ბაიდენი ტრადიციულად დაიბნა და იკითხა: „ახლა რა გავაკეთო?“ მასპინძლებმა ზრდილობიანად მიასწავლეს, საით უნდა წასულიყო. საპატიო ყარაულის მწყობრთან ბაიდენი იმდენ ხანს შეყოვნდა, რომ მსუბუქად უბიძგეს, რომ დროულად წასულიყო, რათა ოფიციაულრ შეხვედრებაე არ დაეგვიანა. თვალში საცემი იყო სტუმარ-მასპინძლების ცივი, არაფრისმთქმელი გამომეტყველება. ურთიერთს ხელი არ ჩამოართვეს, მხოლოდ მუშტებით მიესალმნენ. ევროპული ტურნეს დროს ბაიდენი ყველას ართმევდა ხელს. რატომღაც დაღლილად გამოიყურებოდა. დაათვალიერა ისრაელის საჰაერო დაცვის სისტემა „რკინის თაღი“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჯო ბაიდენს საუდის არაბეთში საკმაოდ ცივად დახვდნენ. უბრალოდ, არაბებმა დაიცვეს სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები, მაგრამ არც იქ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, არაბები ვიზიტორს ძალიან უბრალოდ მიესალმნენ.

ტრადიციულად, ოფიციალური ვიზიტის დასრულების შემდეგ მხარეები მიღწეულ შედეგებზე საუბრონებ ჟურნალისტებთან. ამჯერად მსგავსი არ ყოფილა. პოლიტოლოგების შეფასებით, ბაიდენი საუდის არაბეთში მთხოვნელის რანგში ჩავიდა. მართალია, ვიზიტის მიზანი აშშ-საუდის არაბეთს შორის ურთიერთობის აღდგენა სახელდებოდა, მაგრამ რეალურად ბაიდენი ცდილობდა, მასპინძლები დაეყოლიებინა, გაზარდონ ნავთობის მოპოვება, რაც ჰაერივით სჭირდება აშშ-ს. ცნობილი გახდა, რომ საუდის არაბეთი მხოლოდ 3 მილიონი ბარელით გაზრდის თვეში ნავთობის მოპოვებას, რაც ექსპერტების გათვლებით, გავლენას ვერ იქონიებს არსებული კრიზისის შესამსუბუქებლად.



ახლო აღმოსავლეთში ჯო ბაიდენის წარუმატებელმა ვიზიტმა გაამწვავა ვითარება აშშ-ში. მართალია, პოლიტიკური კრიზისი აშკარად არ შეინიშნება, მაგრამ არც არაფერი უკლია, — ასე აფასებენ არსებულ სიტუაციას პოლიტოლოგები. როგორც იქაური პრესისთვის კულუარულად გახდა ცნობილი, დემოკრატიულ პარტიაში გასულ კვირას განაცხადეს: „...ჩვენი მთავარი მიზანი თეთრი სახლიდან სხეულის გამოტანაა“. ჯო ბაიდენს აშშ-ში ღიად მოუწოდებენ გადადგომისკენ. დემოკრატები იმპიჩმენტის გამოცხადებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. კანონით, პრეზიდენტი ვიცე-პრეზიდენტმა უნდა ჩაანცვლოს. ამ შემთხვევაში კამალა ჰარისი პრეზიდენტად დემოკრატებისთვის კატეგორიულად მიუღებელია. ამიტომ ცდილობენ ჯერ ჰარისის შეცვლას და შემდეგ ბაიდენისას. თავიანთ კოლექტიურ შეცდომებს მათ დააბრალებენ, რათა პარტიის სახე შეინარჩუნონ, — ასე აფასებს ვუთარებას ამერიკელი პოლიტოლოგი დიმიტრი საიმსი.

შემოდგომით შუალედურ არჩევნებში დემოკრატების წარუმატებლობა გარდაუვალია. კონგრესის სპიკერმა ნენსი პელოსიმ უკვე დაიწყო არჩევნებისთვის მზადება, რომელსაც სექს-უმცირესობის წარმომადგენლების იმედი აქვს.

კვლავ აქტიურად საუბრობენ აშშ-ში ჯო ბაიდენის ჯანმრთელობაზე. ტელეკომპანია „ფოქს-ნიუსის“ ჟურნალისტმა ტაკერ კარლსონმა პირდაპირ ეთერში განაცხადა: „..ბაიდენს დემენცია აქვს. ავადმყოფობა ჯერ კიდევ არჩევნებამდე ჰქონდა. მასთან დაახლოებულმა პირებმა მითხრეს, წინასაარჩევნო პერიოდში ძლიერმოქმედ პრეპარატებს აძლევდნენ, განსაკუთრებით საჯარო გამოსვლების წინ, რათა საზოგადოების წინაშე ღირსეულად გამოსულიყო. ახლაც ასეა. საინტერესოა, ვის და რაში დასჭირდა ავადმყოფი მოხუცი ადამიანის გაპრეზიდენტება?“



სენსაციური განცხადება გააკეთა დონალდ ტრამპის ყოფილმა თანაშემწემ თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში ჯონ ბოლტონმა CNN-ის ეთერში. შარშანდელი 6 იანვრის მოვლენებზე საუბრისას, ჟურნალისტი შეეკითხა, იყო თუ არა კაპიტოლიუმის შენობაში შეჭრა დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალება. ბოლტონმა კატეგორიულად უარყო: „...ტრამპს ამის არც ცოდნა აქვს და არც გამოცდილება... კარგად ვიცი, როგორ ხდება რომელიმე ქვეყანაში სახელმწიფო გადატარიალების დაგეგმვა და განხორციელება, რადგან ვმონაწილეობდი რამდენიმე პუტჩის დაგეგმვასა და განხორციელებაში“. ფაქტობრივად, აღიარა, რომ ე. წ. ფერადი რევოლუციები აშშ-ში იგეგმება.

მძიმე ვითარებაა კვლავ უკრაინაში. თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწის ჯეიკ სალივანის განცხადებით, იქამდე გააგრძელებენ უკრაინისთვის შეიარაღებით დახმარებას, ვიდრე საჭირო იქნება. აშშ-ის პოლიტიკოსების 90% გაუმართლებლად მიიჩნევს უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას. გამოცემა „ვაშინგტონ თაიმსი“ წერს: „...გადამხდელებმა უნდა იცოდნენ, სად მიდის ბიუჯეტში მათ მიერ შეტანილი ფული“. ნატოში და ევროკავშირში შექმნეს კონტროლის მექანიზმი, რათა გააკონტროლონ, სად მიდის უკრაინისთვის მიწოდებული იარაღი. ბრიტანული გამოცემა „დეილი მეილი“: „... უკრაინას იარაღი გასაყიდად სჭირდება და არა ბრძოლის ველზე“. აშშ-ის პრესაში გალიზიანებით წერენ, რომ უკრაინელები უკვე მეტისმეტს მოითხოვენ დასავლეთის ქვეყნებისგან და ზომიერებისკენ მოუწოდებენ.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ᲘᲠᲐᲜᲘ – ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ

## ᲘᲠᲐᲜᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ



(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ, ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲡᲒ.“ N22-24)

### ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲔᲑᲘ – ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

მე-18 ს-ის დასასრულისათვის ირანის ნავთობი, ხე-ტყე, თევზსარეწები, საზღვაო პორტები, ტრანსპორტი, საბაჟო, სარკინიგზო და სახმელეთო გზები, ირიგაცია, ძვირფას ლითონთა მოპოვება, სადაზღვევო და საბანკო საქმე, აზარტული თამაშები და საერთოდ, ყველა საქმე, რომელთანაგან დიდი და მნიშვნელოვანი შემოსავალი შემოდიოდა, ხელთ იგდეს უცხოელმა დამპყრობლებმა — რუსებმა და ინგლისელებმა და უფრო დიდი უპირატესობით, რუსეთმა.

1785 წელს თეირანში ბრიტანეთის ელჩი მორტიმერ დიურანდი ლონდონში გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებაში წერდა: „ქვეყანა ირანი გაძარცვულია, მისი მართვა-გამგეობა კი მოშლილია, ჩამორჩენილი, ცუდად მართული. უმწეო და დაუცველი სპარსეთი ჩრდილოეთიდან (რუსეთიდან) გამუდმებული ზეწოლის ქვეშაა, აშკარაა, რომ თეირანში რუსეთის გავლენაა გაბატონებული და იგი მიმართულია იმისკენ, რომ ჩაშალოს ყველა ღონისძიება სპარსეთის რეფორმირების, ანდა პროგრესის სასარგებლოდ, რათა აღიკვეთოს ყველაფერი, რასაც შეუძლია, ხელი შეუწყოს სპარსეთის გაძლიერებასა და განმტკიცებას, რომ კვლავ გაგრძელდეს და სულ უფრო გაძლიერდეს ამ ქვეყნის დაღმავალი კურსი“.

ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელი დამპყრობლები რუსებისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ და ზუსტად იგივეს ჩადიოდნენ ირანის სამხრეთ ნახევარში.

რუსული კაპიტალის ირანში შესვლის ტემპები სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. რუსეთის სახელმწიფოსაგან ყოველმხრივ მხარდაჭერას მოითხოვდნენ და რუსეთის იმპერიაც ამ მიმართულებით მოქმედებდა. კრებდა და რუს კაპიტალისტებს აწვდიდა სრულ ინფორმაციას ირანში არსებული პოლიტიკური ვითარებისა, რუსებისადმი მტრული ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და მეტოქე ინგლისელთა მოქმედებების შესახებ და ზეგავლენას ახდენდა რა ირანში მიმდინარე მოვლენებზე, მათ რუსეთის იმპერიისა და რუსი კაპიტალისტების სასარგებლოდ წარმართავდა. ამ დროისათვის ირანში მთელი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ძალაუფლება ხელთ იგდეს რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა — გენერალურმა საკონსულომ, ვიცე-კონსულებმა და საკონსულო სააგენტოებმა. რუსულ საკონსულოთა რიცხვი ჩრდილოეთ ირანში, დაახლოებით, 20 აღწევდა. ისინი იყვნენ ყველა მნიშვნელოვან ქალაქში და განსაკუთრებული უფლებები ჰქონდათ მინიჭებული. ირანში რუს კონსულთა ძალაუფლება განსაკუთრებით გაიზარდა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. რუსეთის იმპერიამ პირდაპირ დაიწყო ირანის ჩრდილოეთი ნაწილის მართვა თავისი კონსულების მეშვეობით. ირანის შაჰი და მისი სახელმწიფო აპარატი მხოლოდ შირმას და შენიღბვას წარმოადგენენ რუს კონსულთა ძალაუფლებისათვის.

ბრიტანეთის ელჩი სანკტ-პეტერბურში 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე თავის მთავრობას ოფიციალურ შეტყობინებაში აცნობებდა: „ჩრდილოეთი სპარსეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მმართველობის ბერკეტები მთლიანად რუსმა კონსულებმა ჩაიგდეს ხელში. აზერბაიჯანის (ირანის აზერბაიჯანი მოიცავდა ქალაქებს: თავრიზსა და ურმიას და მათ რეგიონებს და ტერიტორიულად აღემატებოდა ჩვენს მეზობელს — კავკასიის აზერბაიჯანს) გენერალ-გუბერნატორი მხოლოდ და მხოლოდ მარიონეტია. იგი იღებს და ასრულებს რუსეთის გენერალური კონსულის ბრძანებებს. იგივეს აკეთებენ რეშტის, ყაზვინისა და ჯულფას გუბერნატორები. ისინი რუსეთის ხელისუფლების აგენტები არიან და მოქმედებენ თეირანის ცენტრალური ირანული ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად. ჩრდილოეთ სპარსეთში რუსები უზარმაზარ ტერიტორიებს იკანონებენ ყოველგვარი კანონების დარღვევით.

სპარსელთა სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილი გადადის რუსეთის ქვეშევრდომობაში. ირანელი მოსახლეობისაგან გადასახადებს რუსი კონსულები კრეფენ ისე, რომ ამ საქმიდან სპაარსული ადმინისტრაციის აგენტები სრულიად გამორიცხეს. ეს სისტემა თანდათან ვრცელდება ისპაჰანზე და თვით ნეიტრალურ (რუსთა სამფლობელო ჩრდილო ირანსა და ინგლისელთა სამფლობელო სამხრეთ ირანს შორის რუსებსა და ინგლისელებს დატოვებული ჰქონდათ ნეიტრალურ ზონად, სადაც არც ერთი მათგანი არ უნდა შესულიყო) ზონაზეც კი“.

იმ წლებში რუსი კონსული ირანში იყო მეფე, ღმერთი და რუსეთის საკონსულო ტერიტორიაზე განლაგებული რუსული ცხენოსანი სამხედრო ნაწილებით, კაზაკების ჯარის სარდალი და ხშირად ბოროტი და სასტიკი ტირანი. რუს კონსულთა ბოროტება და სისასტიკე განსაკუთრებით გამოვლინდა მე-20 ს-ის დასაწყისიდან, როდესაც ირანში რუს და ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობა დაიწყო. სპარსელ ნაციონალისტებს ყველა რუსი კონსული ებრძოდა რეპრესიებით, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით თავი ორმა მათგანმა გამოიჩინა: მილერმა (გარუსებულმა გერმანელმა) თავრიზში და თავადმა დაბიჟამ — ხორასანში. მილერმა ადგილობრივი ირანის აზერბაიჯანის სასულიერო ლიდერი მუსლიმი მღვდელთმთავარი და ადგილობრივ ნაციონალისტთა ლიდერი, რომელიც ირანიდან ოკუპანტთა განდევნისკენ მოუწოდებდა ხალხს, ჩამოახრჩო და თანაც სპარსელთა ერთ-ერთი უწმინდესი დღესასწაულის — აშურას დღეებში (აშურა სპარსული ისლამის ფუძემდებლის იმამი ჰუსეინის დაღუპვის გამო გლოვის პერიოდია. ამ დღეებში შიიტები ლოცულობენ და ამბობენ: „შაჰ ჰუსეინ, ვაჰ ჰუსეინ!“ შემოკლებით: „შაჰ სეი, ვაჰ სეი!“), ხოლო თავადმა დაბიჟამ ქვემეხებიდან გასროლილი ცეცხლით ამოხოცა ათეულობით სპარსელი მეამბოხე, რომლებიც მეშხედში — შიიტი წმინდანის იმამ რეზას მავზოლეუმში იყვნენ გამაგრებულნი. სპარსელი მოსახლეობის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ჯვაროსანთა ლაშქრობების შემდეგ ისლამურ სამყაროში ასეთი მკრეხელობა ჯერ არ მომხდარიყო. ორივე — მილერიცა და დაბიჟაც რუსეთის იმპერიის სამსახურში იდგნენ და ორივე მათგანის მოქმედება პირადად მოიწონა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ.



ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ, ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ, ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ

ამ პერიოდში ირანის კაზაკთა ბრიგადაში უამრავმა სპარსელმა ჭაბუკმა დაიწყო სამსახური. მათ შორის თავად შაჰის ვაჟმაც — ტახტის მემკვიდრე პრინცმაც. სპარსელებმა რუსი კაზაკებისგან თანამედროვე იარაღის ხმარება და სამხედრო საქმე შეისწავლეს და შემდგომში სწორედ ამ სპარსელთაგან წარმოიქმნა ირანის ახალი, თანამედროვე არმია. სწორედ მათგან წამოვიდა ირანის შაჰთა ახალი ფეჰლევის დინასტია, მაგრამ უცხოელთა ბატონობისაგან თავიანთი სამშობლოს სრული განთავისუფლება ირანელებმა მხოლოდ 1979 წელს შეძლეს აიათოლა ჰომეინის აჯანყების შედეგად.

### ᲒᲘᲚᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲦᲣᲞᲕᲐ

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შედეგად რუსეთის იმპერიაში ძალაუფლება ხელთ იგდო ჰომოსექსუალისტ ებრაელთა პოლიტიკურმა ბანდამ — ბოლშევიკთა, ანუ კომუნისტთა პარტიამ.

ახლადშექმნილი ათეისტურ-იდეოკრატიული იმპერიის — საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ბირთვი მთლიანად ებრაელებისგან ანდა ნახევრად ებრაელებისგან, რუსულ გვარებს ამოფარებული პოლონელი და გერმანელი ებრაელებისგან შედგებოდა.

1917-24 წლების საბჭოთა მთავრობაში მხოლოდ ორი წევრი იყო არაებრაელი — სომეხი — ანასტას მიქოიანი და ქართველი იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი).

ხელისუფლებაში მოსულმა ებრაულმა, ანუ ბოლშევიკურმა პარტიამ, რუსეთის იმპერიაში თავისი ერთპარტიული დიქტატურა დაამყარა და თავისი უკიდურესად მემარცხენე იდეოლოგიით განსაზღვრულ „ხალხის მტრებს“ დაერია. ბოლშევიკებმა ამოხოცეს რუსეთის იმპერატორი და მისი ოჯახი, ამოჟლიტეს რუსეთის იმპერიასა და მასში შემავალი ქვეყნების თავად-აზნაურობა, ბურჟუაზია, ვაჭრები და მრეწველები, ინტელიგენცია, განათლებული ფენა, მეცნიერები, მასწავლებლები, იურისტები, ინჟინრები, სამხედრო ელიტა, ოფიცრები და გენერალიტეტი, სამღვდელოება და მრევლი, მორწმუნეთა მრავალმილიონიანი მასა, უმეტესად, გლეხობა, მეფის მთელი ძველი ჩინოვნიკობა, ძველი სახელმწიფო აპარატის შემადგენელ მოსამსახურეთა მილიონიანი მასა და მომთაბარე მეომარ რუსთა ეთნოსი, დედარუსეთის უერთგულესი, საუკეთესო ცხენოსანი მეომრები — კაზაკები. ამ მასობრივი ხოცვა-ჟლეტის შედეგად რუსეთის ყოფილ იმპერიაში მოულოდნელად გაქრა მოსახლეობის უზარმაზარი მასა — ათობით მილიონი ადამიანი, მრეწველობა და ტრანსპორტი გაჩერდა, სოფლის მეურნეობა მოიშალა და ახლადაშექმნილი იდეოკრატიული იმპერია შიმშილმა, კრიმინალურმა ქაოსმა, ეპიდემიებმა, ნგრევამ და სისხლისმღვრელმა სამოქალაქო ომმა მოიცვა. ამ უბედურების შედეგად რუსებმა ირანში თავიანთი ყველა მონაპოვარი დაკარგეს.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბოლშევიკთა პარტიის ბელადმა, ადრეული ბავშვობიდანვე სექსუალური მანიაკი მამის, უფრო სწორად, დედის ქმრის, პასიური ჰომოსექსუალისგან აღზრდილმა, დედით ებრაელმა (დედის გვარი — ბლანკი) ვლადიმერ ულიანოვმა (ლენინმა) დაუყოვნებლივ გამოაცხადა: „ინგლისთან სპარსეთის გაყოფის შესახებ შეთანხმება დახეული და განადგურებულია“, ანუ ირანს ჩვენი ბატონობისაგან ვათავისუფლებთო.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)



# რატომ ცდილობდა ჰელენ „რუბლიოვა“ ფოთის ნავსადგურში შეჭრას?!

ჰელენ „რუბლიოვა“ (ქალიშვილობის გვარი ხოშტარია) არ ისვენებს, ის ყოველდღე ცდილობს, დაუკრეფავში გადავიდეს. მართალია, ჰელენი მუდამ დაუკრეფავში ცხოვრობდა და „მოღვაწეობდა“, მაგრამ მას შემდეგ, რაც მამასთან - ბატონ გოგიასთან ერთად ორმაგად გაიშიფრა და საიქიოდან („ჩერეზ“ რუსეთი!) გამოგზავნილი დოლარებისა თუ რუბლების ამბავი „გაუსკდა“, ცდილობს, ისეთი სკანდალი გამოიგონოს, რომელიც მისი ოჯახის სირცხვილსა და თავის მოჭრას გადაფარავს... ასევე, რუსეთის თვალში „ავტორიტეტს“ აღუდგენს.

თქვენ აუცილებლად გაგიჩნდებათ კითხვა: ახლა, ჰელენ „რუბლიოვამ“ რა ისეთი სკანდალი უნდა შეთხზას, რომ ვინმეს მისი ვირული ეშმაკობანი გადაავიწყოს და სოლიკო (სიმონ) ვირსალაძის ჰონორარების ამბავი დააჯეროს? ამასთან, ვის რა ისეთი დანაშაული უნდა „გამოუაშკარავოს“, რუსეთის სპეცსამსახურებიდან გადმორიცხული ფულით ბათუმში ნაყიდი ბინის (ასევე ორბეთში 30 ათას დოლარად ნაყიდი ნაკვეთი) ამბავი გააბათილოს?

ვერ იზამს ჰელენი ამას!

კი გამოირჩევა გაიძვერობით, კი ჰგონია ეს ქვეყანა თავისი საჯილდაო ტერიტორია, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე!

თუმცა!

ვერ დაგიმალავთ, ის მაინც ცდილობს, წვალობს და ამ მცდელობა-წვალებაში რამხელაც აერია - საკუთარ თავზე კონტროლიც დაკარგა (ნეტავ თუ ჰქონდა როდისმე!) და რაღაც უცნაურ როლებშიც შეიჭრა, გეგონება ჯეიმს ბონდის ახალ ვერსიას ამუშავებს.

არ დაიჯერებთ!

13 ივლისს (როგორც თვითმხილველები ამბობენ), იგი თავის თანაპარტიელ („დროა“) გიორგი ლემონჯავასთან TOYOTA LAND KRUISER PRADO-თი (ესენი უბრალო მანქანებით არ დაიარევიან) იმყოფებოდა ფოთის საზღვაო ნავსადგურში „ეი პი ემ ტერმინალსი“-ს საგუშაგოსთან, სადაც რუსული KGB-ს ტრადიციების შესაბამისად, თავი წარადგინა როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა. ჰელენ რუბლიოვა ამ გზით შეეცადა, შეჭრილიყო ნავსადგურის ტერიტორიაზე. შემდეგ კი რას ჩაიდენდა, წითელი საღებავით მოსვრიდა იქაურობას, თანამშრომლებს დაერეოდა თუ საკუთარ ყურებზე დადგებოდა, ეს უცნობია, მნახველები ვერაფერს ამბობენ.

მისდა სამწუხაროდ... თუ საუბედუროდ, ჰელენი ტერმინალის თანამშრომლებმა ამოიცნეს (ან კი რა უნდოდა მის ამოცნობას?) და იქიდან გააბრძანეს. ის აუცილებლად შავ სათვალეში და შავ პირბადეში იქნებოდა, მაგრამ ვუკაცურ ხმას რას უზამდა? ვერც ვერაფერს!

●

საინტერესოა, რა მიზანი ჰქონდა ჰელენ რუბლიოვას, როცა „ეი პი ემ ტერმინალსი“-ს ტერიტორიაზე შეჭრას ცდილობდა? ერთი ვერსიის შესახებ უკვე გითხარით - ისეთი სკანდალის აგორებას ცდილობს, საკუთარ ცხოვრებასა და ოჯახს სირცხვილს რომ ჩამორეცხავს. ჩემი აზრით, ეს შეუძლებელია. სირცხვილს ვერ ჩამოირეცხავს ის, ვისაც იგი არ გააჩნია!

მეორე - სავარაუდოდ, ჰელენ რუბლიოვა ცდილობს, აღადგინოს რუსეთის მხრიდან დაკარგული ინტერესი. ელემენტარული საკითხია, გაშიფრული აგენტი რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან ჰონორარს ვეღარ მიიღებს. ახლა საჭიროა მისი ერთგვარი „რეაბილიტაცია“. ვფიქრობ, ამიტომ უფრო წვალობს.

ისე, ბოლო დროს საზოგადოებაში ხშირად გაისმის ლეგიტიკური შეკითხვა: როდემდე უნდა იცოდნენ ასეთებმა დაუსჯელად, ამათთვის კანონი და სამართალი არ არსებობს? თუ არ არსებობს, რატომ არ არსებობს? არც ეგეთი თავაშვებული დემოკრატია ვარგა, მეგობრებო. პოლიციელებს თავში ურტყამდე, წითელ საღებავს სახეში ასხამდე და თან რუსეთის ბიუჯეტიდან ამაში მილიონობით რუბლებს იღებდე, ეგრე სად არი, ეგ რანაირი სამსახურია?!

●

და მაინც... ჰელენ რუბლიოვას ვურჩევ: ყველაზე კარგი გამოსავალი ე.წ. პოლიტიკიდან წასვლაა!

ჰელენ, შენ ვერ ივარგე ვერც ჩინოვნიკად, ვერც არასამთავრობოდ, ვერც დეპუტატად, ვერც პოლიტიკოსად, ვერც ოპოზიციონერად, ვერც ადამიანად, ვერც ამხანაგად, ვერც მეზობლად, ვერც მოქალაქედ, შენ ხარ რუსეთის ბიუჯეტზე და ოლიგარქ კეზერაშვილის კმაყოფაზე ჩამოკიდებული ცოცხალი ორგანიზმი მოღალატეთა კლასობრივი ოჯახიდან და მოქმედებ იოზეფ გებელსის დოქტრინის მიხედვით - სხვას აბრალებ იმას, რაშიც თავად ხარ გაბლანდული, სხვას ეძახი რუსეთის აგენტს და ამ დროს თავად წარმოადგენ (მამასთან ერთად) რუსეთის აგენტურას!

ჰელენ, ალბათ გახსოვს, ერთხელ თვა წულუკიანმა გითხრა, შენ რომ ქუჩაში დაწანწალებდი, მე წიგნებს ვკითხულობდიო. ხომ არ დადგა დრო წიგნების კითხვისა? იქნებ „თხა და გიგო“ მაინც წაგეკითხა? იქნებ ამ მეთოდით მაინც დაიბრუნო ნორმალური სახე და გამოეტყველება? ღირსების დაბრუნებაზე ლაპარაკი არც ღირს!

სხვათა შორის, წიგნებს ყველაზე კარგად იქ კითხულობენ ხოლმე... პენიტენციურ დაწესებულებაში. ასე ამბობენ.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# არ ვარ მე ის კაცი, ბატონებო და ქალბატონებო, არ ვარ მე ვახტანგ ხარჩილავა!

ეს იყო შარშან!

ერთ ცრიატ დილას ამ ტიპმა, მწვაზარი სახით რომ იყურება, „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე დაწერა: აქ ერთი ურეტინგო ჟურნალისტი ქმედითობს, თან ვითომ ენაკვიმატობს, არც ეგ ეხერხება, აზრზე არ არი, ურეტინგო გაზეთში ჯღაბნის, სანამ თანამდებობაზე ვიყავი, მაქებდა, ამას წინებზე კიდე თურმე გავულანძღივარო.

აბა, ეს რა კაცობაა, სანამ ადამიანი თანამდებობაზეა, აქებ, აღარ არი თანამდებობაზე და ლანძღავ!

მოკლედ, ერთ დილას ამან კაცობაც დამიწუნა, პროფესიონალიზმიც, გაგებაც, დიპლომიც და დახეული ჯინსებიც!

ოღონდ ეს გააკეთა თავისი ჩიქორთული ქართულით (წერტილ-მძიმეს ვარაუდზე სვამს).

ამას მოჰყვა დაბლოკვების „შტურმი“ მთელი ოჯახის მხრიდან, ზოგმა იმისთვის დამიმატა, მერე რომ დავებლოკე. გეგონება, ასეთი საქციელით დიდად გამამწარებდნენ. ამის შემდეგ კი დაიწყეს ჩემი „ადამიანობის“ თრევა თავიანთ გვერდებზე და იწყეს ქირქილი კაცობაზეც - ვაააა, ეს ვინ ყოფილაო, ტოოოო!

თავიდან ვერ მივხვდი, არ მეგონა, მე თუ მგულისხმობდა. ამ ტიპზე არც ავი დამიწერია, არც კარგი. თუ მიხსენებია, მხოლოდ სამსახურებრივი თვალსაზრისით - მეტად მნიშვნელოვან სტრუქტურაში მეტად მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა და აბა სხვანაირად როგორ იქნებოდა?

სხვათა შორის, პირველად შავნოდარას რომ ჩააბარა „აღსარება“, ძალიანაც არ მომეწონა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, ამ თემას გაზეთში თვით უფალმა რედაქტორმა მიხედა (ვახტანგ ხარჩილავამ) და მოგვიანებით ვნახე, მშვენივრადაც „გაებრტყელებინა“.

რატომ იფიქრა ამან, ამ ყოფილმა მაღალმა ჩინოსანმა, რომ „ვახტანგ ხარჩილავა“ ჩემი ფსევდონიმი იყო?

პრინციპში, არც მიკვირს, მისი „გაქანების“ ადამიანს პოეტ ხარჩილავას შესახებ საიდან უნდა სცოდნოდა?

ერთადერთი, ვისაც ამ „საიდუმლოსთვის“ ფარდის ახდა შეეძლო, ეს მე ვიყავი - უნდა აეღო ტელეფონი, აეკრიფა ჩემი ნომერი (თუნდაც მოეწერა პირადში), ეკითხა და ავუხსნიდი, რომ მე ფსევდონიმი არ მაქვს, მე არც ვახტანგ ხარჩილავა გახლავარ, არც ვახტანგ ჯავახაძე, არც ეშხარ კვიტაიშვილი და არც ტარიელ ჭანტურია, მათებურად ვერც სიტყვას ვიმორჩილებ, ვერც ლექსებს ვაწყობ.

არ მკითხა, არ მოისურვა, მიადგა ჩემ სახელს და ათრია არა მხოლოდ ზემო მაჩხაანის ორღობეებში, შირაქის საძოვრებსა და სახნავ-სათესებში. თან ყოველ კუთხივ დამბლოკა, რომ პასუხი არ მომეთხოვა. არადა, კაიკაცობას რომ აწვები და პრეტენზია „წმინდანობაზეც“ გაქვს, ადამიანს ხომ უნდა ჰკითხო - ბატონო იმანო, ჩემზე ესა და ეს რატომ დაწერე, განა მე მართლა შავნოდარას მეგობარი ვარ? უი, არა, უბრალოდ ქვეყნის ნათელ მომავალზე ვფიქრობ და ამიტომაც გარდავიქმენი!

აი, ხომ მცირე დეტალია? კი, მცირეა, შეიძლება არც არის მცირე, მაგრამ ეს კარგად აჩვენებს ადამიანის ხასიათსა და ცხოვრებისეულ რაობას!



არ იფიქროთ, ტიპი დაიჭირეს და ახლა ანგარიშს ვასწორებდე. არა, ეს არც მიფიქრია, უბრალოდ ვუყურებ ამ ოჯახური კლანის წარმომადგენლების გამოსვლებს და ვფიქრობ, აშკარად რაღაც ისეთს ვარ გადარჩენილი - ამათ, თავიანთი საქციელებიდან გამომდინარე, უნდა ავეჩზე და დავენაწევრებინე!

არადა... არ ვარ, ბატონებო და ქალბატონებო, მე ის კაცი... არ ვარ ვახტანგ ხარჩილავა!

ეჰ, სოსო, როგორ იკლიკანტურადაც ემსახურე სამშობლოს, ისე იკლიკანტურადაც წაგიყვანეს იქა (არ დავაკონკრეტებ), რა საჭირო იყო ეგეთი „ვოდევილის“ დადგმა?

ეხლა კიდე იძახიან, გოგაშვილი პოლიტიკური პატიმარიაო - ეს უკვე მეორე მოქმედების თემაა.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61





# „სიყვარულის „მატარებელი“

## რობერტ ადარის (აჯიაშვილი) 80 წლისთავთან დაკავშირებით

წმინდა მიწაზე, ისრაელში, ერთ პატარა, ლამაზ ქალაქში — ბათიამში, საქართველოდან წასული ჩვენი თანამემამულე, ქართველი ებრაელი რობერტ ადარი (აჯიაშვილი) ცხოვრობს.

რობერტ ადარის ოჯახში ნამყოფი ვარ და თუ დამიჯერებთ, ამას არც ვაჭარბებ და არც რაიმეს ვამატებ — მეუღლესთან ქალბატონ დოდოსთან ერთად ბატონი რობერტი ქმნის პატარა თბილისს, მიკროსაქართველოს, აქაურობას მონატრებული ქართველი ებრაელებისთვის, საქართველოდან ჩასული სტუმრებისთვის, საქართველოში არასდროს ნამყოფი მათი დიდი ოჯახის სხვა სტუმრებისთვის...

ეს არის კულტურული მისიონერობა, ხოლო რობერტ ადარის სახლი გახლავთ ერთგვარი სახალხო საელჩო — სათათბირო, მეგობართა შესაკრებელი და ქართული კულტურის პატარა კერა, სადაც ქართველი ებრაელები თავიანთი პოეზიისა თუ პროზის ნიმუშებს პირველად მათი სახლის კედლებს გააგონებენ ხოლმე...

ბატონი რობერტი თავადაც წერს ლექსებს და რა თქმა უნდა, პოეზიის მოჭიკჭიკე სტრიქონები ბათიამში ქართულ ენაზე იწერება...

რობერტ ადარის პოეზიის საუკეთესო ნიმუშები შესულია ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეულსა და საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგიაში.

ის დაჯილდოებულია ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიითა და ოქროს მედლით, ქართული კულტურის ამაგდარის წოდებით, საქართველოს მწერალთა კავშირის მადლიერების დიპლომით, მაქს მაიერ შავითის აკადემიის საპატიო ორდენით — „ღირსეული ქართველი ებრაელი“. არჩეულია საქართველოს მწერალთა კავშირის დესპანად ისრაელში კულტურის საკითხებში, საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „გულანის“ აკადემიკოსად, დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის საპატიო პროფესორად, „ბიდისის“ აკადემიის საპატიო წევრად, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, დაჯილდოებულია დავით აღმაშენებლის ენდალმითა და ოქროს მედლით.

ამ კაცს, საქართველოს მოყვარულსა და გულშემატკივარს, ამდენი საპატიო ჯილდოების მფლობელს, ამ დღეებში 80 წელი შეუსრულდა.

მილოცვები მრავლად იყო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან: ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა თემის პრეზიდენტმა იოსებ პატარკაციშვილმა და შემოქმედებითი გაერთიანება „თარბუთის“ წევრებმა, ისრაელში ქართული ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელობამ და წარმომადგენლებმა, „გულთა კავშირის“ წევრებმა გულითადად მიულოცეს თავიანთ პრეზიდენტს, "გულთა კავშირის" კაბინეტის საპატიო წევრმა, ცნობილმა ქორეოგრაფმა შოთა წვენიაშვილმა, ხაიფისა და ჩრდილოეთ ოლქის ქართული კულტურისა და ხელოვნების ასოციაციამ, საზოგადოება „ნერგი“ - ის პრეზიდენტმა, საზოგადოება „ნერგის“ გენერალურმა დირექტორმა, ადვოკატმა მურად ფიზიცკიმ, საზოგადოება „ნერგის“ იურდიულმა მრჩეველმა, ადვოკატმა მოშე ელიკმა, საქართველოს მწერალთა კავშირმა, ქართული საზოგადოების პატივსაცემმა და დამსახურებულმა წარმომადგენლებმა და მრავალმა სხვამ.

„თქვენ ხართ სიყვარულის მატარებელი, ისრაელიდან საქართველოში, საქართველოდან ისრაელში, მიგაქვთ და მოგაქვთ, უსაზღვროდ და უშურველად. დაატარებთ და არიგებთ, იქით, თუ აქეთ, აქეთ თუ იქით და განა ყველას შეუძლია ამდენი სიყვარული იტვირთოს, რომ მერე სხვებს ჩამოურიგოს?! ეს თქვენ ხართ, სიყვარულის „მატარებელი" და გევლოთ საუკუნოდ ბედნიერად, ბატონო რობერტ აჯიაშვილო“. — ბატონი რობერტის ერთ-ერთი ქართველი მეგობრის ამ მილოცვაზე უფრო უკეთესი სიტყვები რა უნდა თქვას ადამიანმა და ამაზე ზუსტი და მორგებული დახასიათება ვერც მე მოვუძებნე ბატონ რობერტს, ცოცხალ ხიდსა და მეგობრობის ბაირახტარს მსოფლიოს ორ უძველეს — ქართველ და ებრაელ ერს შორის და ამ მოკრძალებული წერილით მინდა მივულოცო დაბადებიდან 80 წლისთავი...

ბატონი რობერტის იუბილეს სასწაულიც ახლდა თან.

სრულიად შემთხვევით მან და მისმა თბილისელმა თანაკურსელებმა ერთმანეთი იპოვეს.

ნახეთ, რამხელა ემოციებით დატვირთულმა მიუძღვნა ეს ნოველა ბატონ რობერტს და საერთოდ, მეგობრობას, ავტორმა კობა ყარალაშვილმა.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18


რობერტ ადარი, ნუგზარ ჯანაშვილი პატრიარქთან

### გამარჯვების დღე და ვერმიცანები

ცხოვრების მეოთხე მეოთხედში მყოფმა და ცნობილი მოვლენების გამო 30 წლის უნახავმა თანაკურსელებმა 9 მაისს ერთმანეთს რესტორანში შეხვედრა გადავწყვიტეთ.

დათქმულ ადგილზე მისვლა ადრე მომიწია. რესტორნის შესასვლელთან სკამზე ჩამომჯდარი, უხალისოდ ვაკვირდებოდი ქუჩას, სადაც ავტომანქანების უწყვეტი ნაკადი ჩავლილი წლებივით სადღაც მიჰქროდნენ და უჩინარდებოდნენ.

ირგვლივ ყველაფერი გალამაზებულია, გამშვენიერებული, მაგრამ ეს არ არის ის თბილისი, მე რომ მიყვარდა და მე რომ მახსოვს, მაგრამ რას ვიზამთ, როგორც დრომ წაიღო ჩემი სიყმაწვილე, ასევე გააქრო ულმობელმა დრომ ნაღდი თბილისური სითბო და სილაღე.

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, შორიახლოს ჭაღარა მოხუცი გამოჩნდა, რომელიც თვალებით ვიღაცას თუ რაღაცას ეძებდა. ჯერ ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ ჩემს ირგვლივ რომ დაიწყო ტრიალი, კარგად დავაკვრდი. ვიღაცას მაგონებდა. ვის? ვის? ვეკითხებოდი ჩემს თავს და უცებ გაოცებამ შემიპყრო: სიარულის მანერით მივხვდი, რომ „უცნობი“ ჩემი თანაკურსელი "ნემო" შეიძლებოდა ყოფილიყო.

ბევრი აღარ მიფიქრია. ჯიქურად მივეჭერი და ბრძანების კილოთი ვკითხე:

— თქვენ ჯემალ ნემსაძე ხართ?!

— დიახ. — მიპასუხა. აშკარა იყო, ვერ მიცნო.

— თქვენ დაკავებული ხართ ტერორისტებთან შესაძლო კავშირის ბრალდებით,— განვუცხადე მე.

„ნემო" სახტად დარჩა. მისი გაფართოებული თვალები შუბლისკენ დაიძრნენ.

—პოლიციის განყოფილებაში უნდა გამომყვეთ!— ბრძანების ტონით განვაგრძე მე.

—სად უნდა გამოგყვეთ, აქ თანაკურსელებს ველოდები. — ძლივს ამოიკნავლა შეშინებულმა და დაბნეულმა „ნემომ“, რომელიც ვინ იცის, რას ფიქრობდა გულში.

—რაღა დროს შენი თანაკურსელებია, ალბათ, ტერორისტებს ხვდები. ახლავე გამოვიძახებ სპეცრაზმს. — ვთქვი და ფაციფუცი დავიწყე, ჯიბეებში ვითომ რაციას თუ ტელეფონს ვეძებდი.

„ნემო" გათეთრდა, დაპატარავდა, სადაც იყო, ალბათ, გული წაუვიდოდა. ვიფიქრე, კაცს მართლა რამე ფარცაგი არ დავმართო-მეთქი, თანაც სიცილს ვერ ვიკავებდი და ბოლოს გამეცინა კიდევაც.

„ნემომ“ალბათ სიცილით მიცნო, მაგრამ მაინც გაბზარული ხმით ჩამეკითხა:

—შენ კობა ხომ არ ხარ, ყარალაშვილი?

თავის დაქნევით დავეთანხმე და ერთმანეთს გადავეხვიეთ.

რესტორნის დარბაზში, სანქციებდადებული რუსეთიდან გამოქცეული ახალგაზრდა ქალების და მამაკაცების 30-კაციანი კამპანია დაგვხვდა.

10-ადგილიან სუფრაზე ბოლო ოცდაათი უმძიმესი წლებისგან რვა ვერმიცანადქცეული თანაკურსელი ერთმანეთს მორიდებით ვაკვირდებოდით და ამაოდ ვცდილობდით ერთმანეთის სახეებზე ადრინდელი სილაღისა და სილამაზის ნაშთების პოვნას.

დრო ულმობელია და არც ცხოვრებაა დედასავით მზრუნველი — როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა:„ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.

გამოცდილი თამადა „ჟორჟიკა" სუფრის წევრებს შორის ერთგვარ გაუცხოებას გრძნობდა და ეს გაუცხოება რომ დაეთრგუნა, ომახიანი სადღეგრძელოებით ნელ— ნელა ერთმანეთთანაც გვაშინაურებდა თითქოს.

საუბრის და სადღეგრძელოების თემებიც ხშირად იცვლებოდა, თუმცა, საბოლოოდ, ჩვენი სამშობლოს დღევანდელობაზე გაჩერდა.

ძმობის, ერთობის, თანასწორობის იდეით გაზრდილებმა კარგად ვიცოდით, რომ სამშობლო ყველაზე ძვირფასია და ეს სიმდიდრე ჯილდოდ გვქონდა მიღებული წინაპრებისგან მემკვიდრეობით, შთამომავლობისთვის კი უდიდეს პასუხისმგებლობად. სამშობლო ყოველთვის იყო წარსულში, აწმყოში და მას უნდა ეარსება მომავალშიც. ჩვენს მამულს ჩვენც მთელი ცხოვრება ვემსახურებოდით ისე, როგორც გვასწავლიდნენ, მაგრამ ახლა სამწუხარო რეალობა დამდგარიყო. 30 წელზე მეტია ვკარგავთ ყველაფერს, რაც შეიძლება ერმა და ქვეყანამ დაკარგოს: ადამიანებს, ტერიტორიებს, რწმენას, ერთმანეთისადმი ნდობას, თანადგომას, ღირსებას, სიკეთისა და სიყვარულის უნარს და რაც მთავარია, საუკუნეებგამოვლილ, ურყევ ქართულ ტრადიციებს — ვინ მოხადა ქართველ ქალს მანდილი და ვინ დაახურა კაცს ლეჩაქი, ვინ გარყვნა და გადააგვარა მომავალი თაობა, რატომ გვყავს ორ მილიონამდე ემიგრანტი და საკუთარ სამშობლოში მყოფები რატომ ვიქეცით ხიზნებად. ვინ გახადა ჩვენი თაობა ვერმიცანებად?

ეს დარდი გვაწუხებს ყველას და გვიღრღნის გულსა და სულ — ვკამათობთ, ვმსჯელობთ — რაღაცამ ხომ უნდა გაგვაჩეროს, სადღაც ხომ უნდა გავჩერდეთ?!

მეგობრებთან შეხვედრის სიამოვნებით, ამდენი საწუხარის მიუხედავად, მაინც ქართულად მოვილხინეთ — „ჭირსა შიგან გამაგრება“ გვახსოვდა, ალბათ, ყველას და სასმელის ყველა წვეთში ლოცვას და ქვეყნის დღეგრძელობას ვაქსოვდით.

სახლში ნაადრევად დავბრუნდი. ემოციებისგან, ცოტა სასმელისგან, სიხარულისგან და სინანულისგან, ათასგვარი ფიქრებისგან გარშემორტყმულს არ დამეძინა და ახალი საუკუნის უდიდეს მიღწევას – ინტერნეტსივრცეს მივაშურე „სამოგზაუროდ". უცებ ფოტო-სურათის მიხედვით 70 წლამდე, უცნობი, ვინმე ქართველ-ებრაელი პოეტი, ქართველ-ებრაელთა გაერთიანება " გულთა კავშირის" პრეზიდენტი. ვინ არის ეს? ვინ უნდა იყოს? თითქოს მეცნობა და არც მეცნობა. ფოტოსურათებს გაფაციცებული ვაშტერდებოდი, ვათვალიერებდი და მოულოდნელად თითქოს მივიღე სრული შოკირება – ფოტოებზე გამოსახული იყო რობერტ აჯიაშვილი. ჩემი თანაკურსელი რობერტი, საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის უკიდურესად გამწვავების გამო ოჯახიანად 1993 წელს ისრაელში საცხოვრებლად გადასული...დიახ, დიახ, ის არის, ჩემი რობერტი, ჩვენი რობერტი...

აღელვებულმა მივწერე წერილი, მანაც ოპერატიულად და სასწრაფოდ მიპასუხა, თითქოს ჩემს შეტყობინებას ელოდებოდაო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

მე, რა თქმა უნდა, მოვუყევი „ნემოს" შეშინების ისტორია და რესტორნის ამბები, შეხვედრის ფოტოებიც გადავუგზავნე.

– იცანი-მეთქი? – ვკითხე ჩვენს ბიჭებზე.

ვერაო, ვერც ერთი ვერ იცნო, ერთის გარდა...

ყველანი შევიცვალეთ, ეს ბუნებრივია.

აბა, ყმაწვილებად ხომ ვერ დავრჩებოდით და ხომ ვერ ამოვატრიალებდით ადამიანის ფიზიონომიის დროში გაწელილი ტრანსფორმაციის გარდაუვალობას?

უდიდესი სიხარული განვიცადეთ ერთმაენთის პოვნით მე და რობერტმა და გადავწყვიტეთ, რომ ეს დიდი სიხარული თანაკურსელებსაც უნდა გავუზიაროთ.

ჩემმა ებრაელმა ძმამ, ჩემმა რობერტმა მითხრა: ოქტომბრის თვეში თბილისს ვეწვევიო, ხოდა, ჩვენ სახელოვან თანაკურსელს, კაცს, რომელმაც, როგორც აღმოჩნდა წლები ქართულ-ებრაულ კულტურულ ურთიერთობებს შეალია და მიუძღვნა, 9 მაისის ვერმიცანები ღირსეულად დავხვდებით.

გავაფრთხილე, უნდა შეემზადოს: აეროპორტიდანვე ჩვენს განკარგულებაშია, თანაკურსელები თვითმფრინავის ტრაპთან ვხვდებით ხელში ტრაფარეტებით: „გამარჯობა, ძმაო, რობერტ, მე ვარ "ნემო", მე ვარ "ჟორჟიკა", მე ვარ " დობრი", მე ვარ... მე ვარ... მე ვარ... ძმაო რობერტ, ჩვენ ვართ. ორი ერის მაღალი და უძველესი კულტურის შვილები, ამიტომაცაა ჩვენი დაცილება ქართულ მიწაზე გადგმულ ფესვებს რომ სტკივა. ამიტომაცაა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება და ურთიერთობა უნიკალური, ამიტომაცაა სიყვარული ჩვენი ხასიათისა და ცხოვრების ქვაკუთხედი, რომელსაც მუდმივად უნდა ვეფეროთ. დიახ, ეს ჩვენ ვართ – ქართველები და ებრაელები. შენ კი არსად წასულხარ, რობერტ. ჩვენ ერთად ვართ და ერთად ვიქნებით.

გაგვიმარჯოს!

ლეხაიმ!

**კობა ყარალაშვილი**



რობერტ და დორა ადარები

## მ ა დ ლ ო ბ ა

**არ არის, ის საკმარისი და სრულყოფილი სიტყვა, რომ გამოვხატო, მეგობრებო, თქვენს წინაშე მადლიერება, ჩემი საიუბილეო წლისა და დაბადების დღის გალამაზებისათვის.**

**სიხარულს და ემოციებს ვერ ვუმკლავდები, ამ ფორმით, რომ გამოხატეთ სიყვარული**

**და გადამეტებული მუხტი შესძინეთ, ჩემს მოკრძალებულ საქმიანობას და ღირსებას.**

**განსაკუთრებული ჩემი მადლიერება საქართველოს მწერალთა კავშირს უმაღლესი ჯილდოს – დავით აღმაშენებლის ენდალმისა და ოქროს მედლის მონიჭებისთვის.**

**ე.ი. 80 წელიწადი ტყუილად არ მიცხოვრია.**

**უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ ჩემგან ყველამ ჩემი მადლიერება და ისრაელის კურთხეული, წმინდა მიწიდან, ჩემი ლოცვები, ყველას, ვინაც საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით, ჩემთვის ეს საამაყო და ესოდენ სასიამოვნო გადაწყვეტილება მიიღო. მადლობა ყველას, ვინც მომილოცა დაბადების დღე!**

**მადლობა „საერთო გაზეთის" რედაქციას გულისხმიერებისთვის, ყურადღებისთვის, სიყვარულისთვის"**

**გისურვებთ მშვიდობას, ბედნიერებას, სიხარულის დაუსრულებელ წყებას.**

**ლ ე ხ ა ი მ !!!**

**პატივისცემით, რობერტ ადარი.**

# ახალი ცვლილებების იქითკენაა მიმართული, რომ ქვეყანაში ყველა მოქალაქის უფლება მაქსიმალურად იყოს დაცული



*გვესაუბრება უფლებადამცველი ГრიГოლ გაგნიძე*

**– ბატონო გრიგოლ, რას იტყვით ამერიკის ელჩის და ევროსტრუქტურების მაღალჩინოსნების აქტიურ ჩარევებზე ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკურ საკითხებში, თქვენი აზრით, საბოლოოდ რა მიზნები ამოძრავებთ?**

– სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში გააქტიურდა შეტევები ქვეყანაზე და ხელისუფლებაზე, როგორ შიდა, ასევე საგარეო დონეზე და პარტნიორი ქვეყნის ელჩის და რადიკალური ოპოზიციის რიტორიკაც ერთმანეთს დაემთხვა. შეტევის ობიექტები მოსამართლეებიც გახდნენ. ვფიქრობ, დიპლომატებმა თავი უნდა შეიკავონ მსგავსი განცხადებებისგან, რადგან მათი მხრიდან ასეთი რიტორიკა მართლმსაჯულების სისტემის დისკრედიტაციის აღქმას ტოვებს.

ბოლო კვირებში რადიკალური ოპოზიციის უცხოელი მეგობრების მხრიდან გაძლიერდა ზეწოლა ქართველ მეცენატ ბიძინა ივანიშვილზე. მიმაჩნია, რომ ეს არის უსამართლო და უსაფუძვლო. სამწუხაროა, რომ ბოლო 20 წელი განათლების, კულტურის და ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული დიდი პროექტების ავტორს ასე უსამართლოდ რომ ექცევიან.

მთელი ეს „ჩარევები", რაც თქვენ ახსენეთ კიდევაც თქვენს შეკითხვაში, მე ვფიქრობ, ემსახურება ქვეყნის რუსეთთან ომში ჩართვის რიტორიკას. ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, რომ, ღმერთმა არ ინებბოს და ასეთი რამე რომ მოხდეს, ეს ნიშნავს უდიდეს მსხხვერპლს, მოხდება 2008 წლის ტრაგედიაზე უარესი რამ, დაგვიდგება რეალური საფრთხე ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის და რეგიონებად დაშლის. ეს სურს ოპოზიციას? ეს უნდათ ზოგიერთ ჩვენს უცხოელ ვითომ მრჩეველს? პირდაპირ აცხადებენ ოპოზიციის წარმომადგენლები, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რუსეთთან ომს დავიწყებთ და ტერიტორიებს დავიბრუნებთო. კარგად გვახსოვს, რაც დაიწყეს 2008 წლის აგვისტოში და იმის მაგივრად, რომ რაიმე მოეპოვებინათ, პირიქით, ტერიტორიები დაკარგეს და აათასობით უდანაშულო ჩახოცეს ცხინვალის მიწაზე. დევნილებად აქციეს ჩვენი მოქალქეები საკუთარ მიწაზე. ესაა სულ მაგათი ბაქიბუქი. მერამდენედ უნდა ითქვას, რომ გასაგები იყოს და ეს ფაქტებით და ქმედებებითაც დასტურდება, რომ რადიკალური ოპოზიციის ლიდერებს და ზოგიერთ მათ თანამოაზრეს ქვეყნის და ხალხის მომავალი კი არ აწუხებს, არამედ, როგორც ის 4 მლრდ დოლარი, აშშ-მა რომ გამოგზავნა ომის საკომპენსაციოდ 2008 წელს. სად წავიდა და რას მოხმარდა ეს თანხები? ამ ომის ხარჯზე გამდიდრდნენ ეს არამზადები, ახლა რომ პატრიოტობას თამაშობენ. ახლაც იგივე მიზნები აქვთ, უნდათ, რომ ქვეყანა ომში ჩართონ და დიდი ფულადი გზავნილები მიიღონ ევროპიდან და ამერიკიდან, ქართველი ახალგაზრდები კი ფეხებზე კიდიათ, შეაკვდნენ რუსეთს, თვითონ და თავიანთი შვილები ხომ არ იბრძოლებენ, სამაგიეროდ, გამდიდრდებიან ჩვენი გმირების სისხლის ხარჯზე. სულ ესაა მთელი მათი „ფილოსოფია".

**– ყოველ არჩევნებზე თქვენ აქტიურად ხართ ჩართული პროცესებში. საარჩევნო სისტემის რეფორმირებაზეც არის საუბარი იმ ცნობილ 12-პუნქტიან „დავალებაში". რას იტყვით ამაზე?**

– ბოლო წლებში ევროკომისიის რეკომენდაციით, ე.წ. შარლ მიშელის დოკუმენტით, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებელი განხორციელდა, საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილებები, ახალი თავმჯდომარეც იქნა არჩეული. ტუმცა საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი რომ მიიღოს, 12-პუნქტიანი დავალება უნდა შესარულოს. ხელისუფლებამ გადაწყვიტა საარჩევნო კოდექსის რევიზიის კომისიის შექმნა. როგორც ცნობილია, მიმდინარეობს მსჯელობები საარჩევნო ბარიერის დაწევასთან დაკავშირებით, რითაც უფრო მეტ პარტიას მიეცემა შანსი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად. სავარაუდოდ, ეს კიდევ უფრო დემოკრტიულს და გამჭვირვალეს გახდის მომავალ არჩევნებს.

**– როგორც ვიცით, თქვენ რეკომენდაციებიც წარუდგინეთ პარლამენტს მოსამართლეების საკითხთან დაკავშირებით. რას ითველისწინებს ეს რეკომენდაციები და რატომ მიგაჩნიათ, რომ მხოლოდ თქვენი მოსაზრებები უნდა გაიზიარონ?**

– ჩემი 20-წლიანი დამოუკიდებელი საადვოკატო პრაქტიკიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკაზე დაკვირვებით, როგორც მე-11 ევროკომისიის რეკომენდაცია მიუთითებს, მიღებული უნდა იქნეს ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომ ქართულ სასამართლოში აქტიურად იყოს გამოყენებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის პრეცედენტები. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა მოახდინა და პერიოდულად ახდენს, საერთაშორისო ნორმებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას და დემონსტრირებას.

რაც შეეხება ქართველი მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინების გამოყენებას, ეს მექანიზმები, შეიძლება ითქვას, აქტიურად გამოიყენება 2012-14 წლებიდან, პასიურად გამოიყენებოდა, ან საერთოდ არ გამოიყენებოდა 2004 -2012 წლებში. მოსამართლეები ხშირად აღნიშნავენ, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა. შესაბამისად , გვაქვს საპროცესო თუ მატერიალური კანონი, რისი შესრულებაც სავალდებულოა.

მინდა შევეხო სტრასბურგის პრეცედენტული გადაწყვეტილებების გამოყენებას — საქართველოს ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ თუ გაჩნდება ჩანაწერი, რაც მოსამართლეებს დაავალდებულებს ზემოთ აღნიშნულ საკითხებს, არა მარტო სისხლის სამართლის საქმეებში, არამედ ადმინისტრაციულ და გამონაკლის შემთხვევებში, სამოქალაქო სასამართლო საქმეებშიც უნდა აისახოს იგივე პრეცედენტი, მოსამართლეთა დისციპლინარულ კანომდებლობაში უნდა გაიწეროს კონტროლის მექანიზმები, სასურველია, სავალდებულო ჩანაწერი, ინტერპრეტაციით, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო, ასევე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაშიც, რადგან ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებიც შეიძლება იშვითად, მაგრამ მაინც გახდეს, სტრასბურგში გასაჩივრების დღის წესრიგში.

მიმაჩნია, რომ ჩემი მოსაზრებები გასათვალისწინებელია, რათა კიდევ უფრო დაიხვეწოს სასამართლო სისტემა, რომ არავის ჰქონდეს შენიშვნები. თუმცა არც შენიშვნებზეა საქმე, მთავარია სახელწმიფო იყო სამართლებრივად გამართული და ყველა მოქალაქის უფლებები მაქსიმალურად დაცული.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ქვეყნები, რომლებიც ყველაზე მეტ ბირთვულ რაკეტას ფლობენ

დედამიწა ჩვენი საცხოვრებელი სახლია, სადაც უამრავი საფრთხე არსებობს, მათ შორის, საომარი. საუბარია ბირთვულ რაკეტებზე, რომელთა დამზადებას ბევრი ქვეყანა ცდილობს. ეს რაკეტები ყველაზე გამანადგურებელი იარაღია, როგორიც ატომური და წყალბადის ბომბი და ადამიანთა მასობრივ განადგურებას იწვევს. დღეისათვის რამდენიმე ქვეყანას აქვს ბირთვული იარაღი და ბირთვული ტექნოლოგიების მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების უფლება, მაგრამ არიან ქვეყნები, რომელთაც ჯერ არ მოუწერიათ ხელი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებაზე...



გთავაზობთ იმ ქვეყნების ჩამონათვალს, ვისაც ყველაზე მეტი ბირთვული რატკეტა აქვს...

**ირანი**. ირანი ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელსაც ხანგრძლივი საომარი ისტორია აქვს. ირანი იმ ქვეყნებს შორისაა, რომელსაც ბირთვული რაკეტები აქვს. არავინ იცის ზუსტად, რამდენი ბირთვული იარაღი და რაკეტა აქვს ირანს, მაგრამ ეს ქვეყანა აწარმოებს მძლავრ რაკეტებს, რომლებსაც გამოყენების შემთხვევაში უდიდესი ზიანის მოტანა შეუძლიათ.

**ჩრდილოეთ კორეა**. ჩრდილოეთ კორეას ცუდი რეპუტაცია აქვს. მოარული ხმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ ხალხი ძალიან ღარიბად ცხოვრობს იმის გამო, რადგან მთავრობა დიდ თანხებსი ხარჯავსს შეიარაღებაზე. ეს აბსოლუტური სიმართლეა. ჩრდილოეთ კორეა დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა საკუთარი სამხედრო ბაზის გასავითარებლად. ჩრდილოეთ კორეას თავისი ბირთვული რაკეტები აქვს. ადრე ის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების წევრი იყო, მაგრამ 2003 წელს დატოვა ეს ორგანიზაცია. ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ 2006 წელს ბირთვული იარაღი შექმნა და გამოსცადა. მოგვიანებით, 2007 წელს ქვეყანამ დაადასტურა, რომ მას ბირთვული იარაღი ნამდვილად აქვს. 2009 წელს მეორე წარმატებული გამოცდა ჩაატარეს. 2013 წელს კი, როგორც ვარაუდობენ, ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იარაღის მესამე წარმატებული გამოცდა ჩაატარა მიწის ქვეშ. დღეისათვის მისი ჯარის შეიარაღებაში ახლო და საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტებიც არის.

**ისრაელი**. ქვეყანას, რომლის მეზობელიც ისრაელივით აგრესიული და არამეგობრულია, თავის დასაცავად იარაღი სჭირდება. ისრაელს უზარმაზარი რაოდენობის ბირთვული იარაღი და რაკეტები აქვს. მის ბირთვულ არსენალში 80 ბირთვული ქობინია და მათი რაოდენობა კვლავ მატულობს. ამ ქვეყანას მრავალფეროვანი ბირთვული იარაღი აქვს — კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტებიდან დაწყებული წყალქვეშა ნავის ფრთიანი რაკეტებით დამთავრებული.

**ინდოეთი**. ინდოეთი ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, რომელმაც ხელი არ მოაწერა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას. ამ ქვეყანას დიდი რაოდენობით ბირთვული იარაღი გააჩნია. ინდოეთმა ბირთვული გამოკვლევების პროგრამა 1967 წელს დაიწყო და პირველი მოულოდნელი ბირთვული გამოცდა 1974 წელს ჩაატარა. ინდოეთს ოფიციალურად არ განუცხადებია ბირთვული არსენალის რაოდენობის შესახებ, რომელსაც ის ფლობს. ქვეყანაში მკაცრი პოლიტიკა მოქმედებს, რომელიც იარაღის გამოყენებას კრძალავს და, პირველ რიგში, მას მხოლოდ თავდაცვისთვის გამოიყენებენ.

**პაკისტანი**. პაკისტანსაც არ აქვს მოწერილი ხელი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე. ის ინდოეთს ეჯიბრება, რომ მასზე მეტი ბირთვული რაკეტა და ქობინი ჰქონდეს. პაკისტანის ბირთვულ პროგრამას პრემიერ-მინისტრი ზულფიკარ ბჰუტო ჩაუდგა სათავეში 1972 წელს. ეს პროგრამა ინდოეთში მიმდინარე ბირთვული გამოკვლევებისა და შეიარაღების პასუხი გახლდათ. ინდოეთში ორი ბირთვული იარაღის გამოცდის შემდგომ 1974 და 1988 წლებში, პაკისტანმა 5 ბირთვული მოწყობილობა აფეთქა ჩაგაის რაიონში. დღეისათვის პაკისტანს დაახლოებით 140-150 ბირთვული რაკეტა აქვს.

**დიდი ბრიტანეთი**. ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ბრიტანეთის მთავრობას 520 ბირთვული ქობინი ჰქონდა. დღეისათვის ნახევარი განადგურებულია. დიდი ბრიტანეთი მესამე ქვეყანაა მათ შორის, რომლებმაც ბირთვული ბომბის გამოცდა 1952 წელს ჩაატარა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების წევრია. დიდ ბრიტანეთი თავის ბირთვულ იარაღს გრიფით „სრულიად საიდუმლო" ინახავს და ოფიციალურად მას მხოლოდ 150 აქტიური ქობინი აქვს. ისტორიულად დიდ ბრიტანეთს ჩატარებული აქვს 45 ბირთვული გამოცდა, რომელთაგან უმრავლესობა წარმატებული იყო. დღეისათვის დიდი ბრიტანეთი ბირთვული პოტენციალის თვალსაზრისით მძლავრი ქვეყანაა.



**ჩინეთი**. ჩინეთმა ბევრ სფეროში გამოიჩინა თავი, როგორც განვითარებადმა ზესახელმწიფომ. მან უკვე საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ბირთვული იარაღის შექმნაში. ჩინეთი ერთ-ერთი უძველესი ერია მსოფლიოში, რომელსაც მასობრივი განადგურების იარაღი გააჩნია. ქვეყანამ პირველი ბირთვული გამოცდა 1954 წელს ჩაატარა, ქობინების ზუსტი რაოდენობა სახელმწიფო საიდუმლოებაა. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ ჩინეთს შესაძლოა 3000-ზე მეტი ქობინიც კი ჰქონდეს. ოფიციალურად ჩინეთში მხოლოდ 260 ქობინია და ისინი უმოქმედო მდგომარეობაშია. ჩინეთში მკაცრი პოლიტიკა მოქმედებს, რომელიც კრძალავს ბირთვული იარაღის გამოყენებას. ეს მხოლოდ მაშინ არის დაშვებული, თუ ვინმე ჩინეთს თავს დაესხმება. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ ჩინეთი გაზრდის თავის ბირთვულ სიმძლავრეს, რათა ამერიკას აჯობოს.



**საფრანგეთი**. უკანასკნელი წლების განმავლობაში საფრანგეთში მუდმივად ხდება ტერორისტების თავდასხმები. ეს ქვეყანა უფრო მეტად საჭიროებს დაცვას, ვიდრე ევროპის რომელიმე სხვა ქვეყანა. საფრანგეთს 290 მოქმედი ქობინი და 10 სხვა სახის ქობინი აქვს, რაც ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს, ტრიადული დარტყმა განახორციელოს. ტრიადა — ეს არის მიწიდან, ჰაერიდან და წყლიდან ერთდროული ბირთვული შეტევის განხორციელება. ასევე ცნობილია, რომ საფრანგეთმა მოახდინა მძლავრი ბირთვული რაკეტების დეაქტივაცია. გარდა ამისა, საფრანგეთმა ბოლო ბირთვული იარაღის გამოცდა 1996 წელს მოახდინა, ვიდრე ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას შეუერთდებოდა. რაც შეეხება ბირთვული რაკეტების რაოდენობას, ამ ქვეყანას 300 ან უფრო მეტი აქვს.

**აშშ**. ყველაზე მეტი მოქმედი ქობინის მფლობელი და მძლავრი ქვეყანა დედამიწაზე — შეერთებული შტატებია. მას 2080 მოქმედი ქობინი აქვს ქვეყნის შიგნით, ასევე სხვადასხვა კონტინენტებსა და ქვეყნებში. აქვს ასევე 5180 სხვა ქობინი, რომლებიც ან ტაქტიკური ბირთვული, ან სტრატეგიული ქობინია. გარდა ამისა, ამერიკას რუსეთზე მეტი კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა და წყალქვეშა ნავის ბალისტიკური რაკეტაც აქვს, რომელთა რაოდენობა 785-ს აღწევს. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ამერიკის შეერთებულ შტატებს 6450 ბირთვული რაკეტა აქვს.

**რუსეთი**. რუსეთს 45000-ზე მეტი ბირთვული ქობინი აქვს, რომლებიც გამალებული ბირთვული შეიარაღების შედეგია. ამჟამად რუსეთმა დამონტაჟი გაუკეთა და ბირთვული რაკეტები დაახლოებით 7500-მდე შეამცირა. მათგან 1780 აქტიური ქობინია, დანარჩენი — სხვა ქობინები, რომლებიც ან რეზერვშია, ან დემონტაჟის სტადიაში. რუსეთს 515 კონტინენტთაშორისი ბალისტიკური, სტრატეგიული ბომბდამშენი და წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტა და ათასობით სტრატეგიული ქობინი აქვს.

დედამიწაზე ომები არ მთავრდება, ომების საშიშროება კი მატულობს. ალბათ, დადგა დრო, ბირთვული ქობინების მფლობელი ქვეყნები ერთმანეთს იმაში შეეჯიბრონ, ვინ უფრო მეტ საკუთარ ბირთვულ იარაღს გაანადგურებს...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

## მილოცვა

**ბატონ ზაურ კაპიტონის ძე კაპანაძეს დიდებულ ფოთელს, შესანიშნავ მეოჯახეს, შვილებზე, შვილიშვილებზე მზრუნველ მამასა და ბაბუას, მეგობრების გვერდში მდგომ და საოცრად ყურადღებიან ადამიანს ვულოცავთ დაბადების 85 წლისთავს. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.**

გედევან ხელაია, გულთაზ ლაბარტყავა, ილია ქვარცხავა, იური ალანია, ბესლან ძორძია, ვანო ნარმანია, ალბერტ სიორიძე, როინ ახვლედიანი სოზარ შელია

„საერთო გაზეთის" მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი". კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი"
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99